

## ანგარიში

2016 წლის 20 მაისიდან 2016 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების (მათ შორის ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების) შესახებ

1. საშინაო პოლიტიკა (1-15)
2. საგარეო პოლიტიკა (15-26)
3. ადამიანთა უფლებები (27-33)
4. ეკონომიკა (33-34)
5. ეკოლოგია (34-38)
6. პასპორტიზაცია (38-40)

### ***1. „ყველანაირი მცდელობა, აფხაზ და სომეხ ხალხს შორის შუღლის ჩამოგდებისა, განწირულია წარუმატებლობისათვის“***

აფხაზეთის სახალხო კრების (პარლამენტის) დეპუტატები, რობერტ იაილიანი და ლევონ ჰალუსტიანი განცხადებას ავრცელებენ.

პარლამენტარებმა აღშფოთება გამოთქვეს გარე ძალების მიერ მიზანმიმართულ, უწყვეტ მცდელობაზე ჩამოაგდონ შუღლი, აფხაზეთის მკვიდრ სხვადასხვა ეთნიკურ დიასპორებს შორის. კერძოდ, ორგანიზაცია „კრუნკი“-ს განცხადებას იშველიებენ, სადაც ნათქვამია, თვითალიარებული რესპუბლიკა აფხაზეთის ტერიტორიაზე, „აფხაზეთის სომეხთა ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის“ შექმნის შესახებ.<sup>1</sup> განცხადებაში, აღნიშნავენ დეპუტატები, ნათქვამია, რომ „აფხაზეთის სომეხთა ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის“ შექმნის შესახებ კანონპროექტი გადაეცემათ პარლამენტარებს, რობერტ იაილიანს და ლევონ ჰალუსტიანს, აფხაზეთის სახალხო კრებაში (პარლამენტში) განსახილველად.

„ჩვენ გვესმის, რომ ამ პროვოკაციული ხასიათის ქმედების უკან დგანან ის ძალები, რომლებიც მძლავრი, დამოუკიდებელი აფხაზეთის სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგნი არიან. პერიოდულად, მდინარე ინგურის მარცხენა ნაპირზე მაუწყებელ ზოგიერთ მედია საშუალებებში ჩნდება მსგავსი პროვოკაციული შინაარსის მასალები, რომლებიც არ

შეესაბამება სინამდვილეს და ქართული მხარის ფანტაზიის ნაყოფია“-აღნიშნავენ დეპუტატები.<sup>2</sup>

აგრეთვე, დეპუტატებმა დაამატეს-„ყველანაირი მცდელობა, აფხაზ და სომეხ ხალხს შორის შუღლის ჩამოგდებისა, განწირულია წარუმატებლობისათვის. ამ ბინძური სტატიის, ამნეზიით დაავადებულ, ქართველ ავტორებს გვინდა შევახსენოთ, რომ ორგანიზაცია (კრუნკი), რომლის სახელითაც ვრცელდება ანონიმის განცხადება და საქართველო-აბსოლუტურად შეუთავსებადი ცნებებია, რადგანაც ამ ორგანიზაციის (კრუნკის) აქტივისტები, აფხაზეთის რესპუბლიკის გმირ ა.გ. ტოპოლიანის მეთაურობით, აფხაზ ძმებთან ერთად იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის“.

---

Апсныпресс 18.05.2016

## **2.,*„აფხაზეთში ახალი პროსამთავრობო პოლიტიკური პარტია შეიქმნა“***

19 მაისს, სოხუმში სასტუმრო „ატრიუმ ვიქტორია“-ს საკონფერენციო დარბაზში, ახალი პროსამთავრობო პარტია „აფსნი“-ს დამფუძნებელი ყრილობა ჩატარდა.

„ახლადშექმნილი პარტიის პროსამთავრობას ადასტურებს მისი შემადგენლობა, რომელშიც წარმოდგენილი არიან-პრეზიდენტის ადმინისტრაციის, მთავრობის წევრები, ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელი პირები. აგრეთვე, პარლამენტის დეპუტატები, ბიზნესმენები და საზოგადო მოღვაწეები“.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა და ვიცე-პრეზიდენტი ვიტალი გაბნია.

სიტყვით გამოსვლისას, რაულ ხაჯიმბა, შეეხო „სახალხო ერთობის მთავრობის“ შექმნის საკითხს და კომენტარი გააკეთა, პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების შესახებ საინიციატივო ჯგუფის განცხადებაზე.

„დავიწყოთ იმით, რომ იმ ძალებმა, რომლებიც ამ ინიციატივით გამოდიან, ჯერ გადაუხადონ სახელმწიფოს ის ვალი, რომელიც მათ გააჩნიათ და მხოლოდ ამის შემდეგ იფიქრონ მსგავსი მთავრობის შექმნის საკითხზე. აშკარაა, რომ ეს იდეა გარე, მტრული ძალების მიერ არის თავს მოხვეული და მათ ნებაზე დაყოლას მე არ ვაპირებ! მე მინდა, რომ აფხაზმა ხალხმა თვითმყოფადობა და დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს. ამის გამო ათასობით აფხაზეთის პატრიოტმა გაწირა სიცოცხლე. რეფერენდუმის კი მე არ მეშინია, არ ვაპირებ სავარძელზე ჩაჭიდებას, დავემორჩილები იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც ხალხი მიიღებს. სამწუხაროდ დღეს ბევრი აგრძელებს საკუთარი ჯიბის ინტერესებით ფიქრს,“

---

„НУЖНАЯ ГАЗЕТА“ 19.05.2016

## **3.,*„აფხაზეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, რესპუბლიკის პრეზიდენტს გადაუგზავნა დასკვნა .....“***

30 მაისი. დე ფაქტო აფხაზეთის ცსკო-მ, საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნაზე, ჩატარდეს საპრეზიდენტო ვადამდელი არჩევნები, დასკვნა რაულ ხაჯიმბას გადაუგზავნა.

„როგორც ცნობილია, რეფერენდუმის ჩატარების ცენტრალური კომისიის ფუნქციას, აფხაზეთის კანონმდებლობის მიხედვით, ასრულებს ცსკო“

დეფაქტო აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ბათალ ტაბალუამ, აღნიშნა, რომ შექმნილმა კომისიამ, რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნის დოკუმენტში დარღვევები ვერ აღმოაჩინა. ხელმოწერების შეგროვება მიმდინარე წლის 17 მარტს დაიწყო და ხელმომწერთა რაოდენობამ 19 000 შეადგინა.

ე.წ. ცსკო-ს თავმჯდომარემ აგრეთვე აღნიშნა, რომ რეფერენდუმის შესახებ კანონის მე-15 მუხლის თანახმად, რეფერენდუმის ჩატარების ცენტრალური კომისიის მიერ მიწოდებული დოკუმენტი, აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა ორი კვირის ვადაში უნდა განიხილოს.

ბათალ ტაბალუას განცხადებით: „პრეზიდენტს, შემდეგი გადაწყვეტილებებიდან ერთერთის მიღების უფლება აქვს:

ა-რეფერენდუმის ჩატარების უზრუნველყოფა და მისი თარიღის დასახელება.

ბ-შესთავაზოს სახალხო კრებას (პარლამენტს) მიიღოს კანონი ან სხვა გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფს რეფერენდუმის ჩატარების გარეშე, მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

გ-თავად მიიღოს გადაწყვეტილება, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, რეფერენდუმის ჩატარების გარეშე.

დ-უარი განაცხადოს, რეფერენდუმის ჩატარებაზე, რეფერენდუმის მოთხოვნის ინიციატორების მიერ, მოქმედი კანონის დარღვევის შემთხვევაში.“

---

18:42 30.05. 2016 Sputnik Ансны/ Abkhazia

#### **4 „აფხაზეთის პარლამენტში ახალი კანონპროექტი შევიდა“**

30 მაისს, აფხაზეთის ე.წ. პარლამენტმა, რესპუბლიკის საზოგადოებრივ ორგანიზაცია „აფსადგილ“-ში შემავალი დეპუტატთა ჯგუფის მიერ წარდგენილი ახალი კანონპროექტი, „უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ“, დაარეგისტრირა.

„აფსადგილ“-ს ხელმძღვანელმა, ბესლან ეშბამ, შემდეგნაირად განმარტა კანონის მიღების აუცილებლობა: „ ამ კანონპროექტის მთავარი იდეა არის, საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების შესაბამისი, უძრავი ქონების რეგისტრაციის და სახელმწიფო საკადასტრო აღრიცხვის ერთიანი სისტემის შექმნა. ორგანო, რომელიც განახორციელებს უძრავი ქონების რეგისტრაციას, უნდა დადგინდეს აფხაზეთის მთავრობის მიერ. კანონპროექტის მიხედვით, ასეთ ორგანოდ, შეიძლება განიხილოს იუსტიციის სამინისტრო. აგრეთვე შესაძლებელია შეიქმნას რეგისტრაციის ახალი სამსახური.“

ბესლან ეშბა აცხადებს, რომ კანონპროექტი „უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ“ შემუშავებულია ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის დებულებების შესაბამისად.

---

17:04 30.05.2016 АПСНЫПРЕСС

## **5. „რაულ ხაჯიმბამ რეფერენდუმის თარიღი დაასახელა“**

1 ივნისს, დეფაქტო აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტის სააქტო დარბაზში, რაულ ხაჯიმბა, საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა.

„მათ (ოპოზიციას) არ შეუძლიათ არცერთი არგუმენტის დასახელება, რომელიც გახდებოდა საფუძველი ჩემი ვადამდელი გადადგომისა. ეს მათ (ოპოზიციამ) ძალიან კარგად იციან, რადგანაც რეფერენდუმის ჩატარება არ არის მათი მთავარი მიზანი“

რაულ ხაჯიმბას თქმით, ოპოზიცია მანიპულირებს საზოგადოებრივი აზროვნებით, იყენებს პოლიტიკური ბრძოლის არასაპარლამენტო ინსტრუმენტებს. ამის გარდა, რეფერენდუმის მეშვეობით, ოპოზიცია, ცდილობს შეაჩეროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოზიტიური პროცესები.

„მაშინ, როდესაც 2016 წელს, საბიუჯეტო შემოსავლების ორმაგი ზრდის ამოცანა დგას, ოპოზიცია რეფერენდუმის ჩატარების გზით ცდილობს ამოგვადოს ნორმალური მუშაობის გრაფიკიდან, დაგვაკარგინოს ის დრო, რომელიც შეიძლებოდა გამოგვეყენებინა ჩვენი მოქალაქეების ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად“-დასძინა ე.წ. პრეზიდენტმა.

რაულ ხაჯიმბამ, რეფერენდუმი შეაფასა, როგორც რადიკალური ტექნოლოგია., რომელიც ხელს უშლის საზოგადოების კონსოლიდაციას.

შეგახსენებთ, რომ 2016 წლის მარტის დასაწყისში, საინიციატივო ჯგუფმა 46 წევრის შემადგენლობით, ცსკო-შეიტანა განცხადება ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით.

ა.წ. 2 მარტს გამართულ პრესკონფერენციაზე, საინიციატივო ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ რეფერენდუმის ჩატარების აუცილებლობა გამოწვეულია, დეფაქტო აფხაზეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გაუარესების გამო.

„ჩვენ შეგვეძლო სამართლებრივი დავა დაგვეწყო ხელმოწერების ნამდვილობის თაობაზე, სასამართლო წესით გაგვეუქმებინა ცსკო-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და უარი გვეთქვა სრულიად სახალხო კენჭისყრის ჩატარებაზე, მაგრამ მე ამას არ გავაკეთებ, რადგანაც მესმის, რომ რეფერენდუმის ინიციატორებსაც სწორედ ეს ჭირდებათ, ქვეყანაში

არეულობის მოსაწყობად“-განაცხადა რაულ ხაჯიმბამ საზოგადოებასთან შეხვედრის დროს.

ა.წ 1 ივნისს, დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა ხელი მოაწერა, 2016 წლის 10 ივლისს. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების შესახებ განკარგულებას.

---

14:28 1.06. 2016 Sputnik Абхазия

### **6. „აფხაზეთში, რუსეთის სამხედრო ბაზაზე, მასშტაბური სამხედრო სწავლებები დაიწყო“**

6 ივნისს, აფხაზეთში, რუსეთის სამხედრო ბაზაზე, საზაფხულო პერიოდის სამხედრო სწავლების ფარგლებში, ცაბალის (წებელდის) სამთო და ნაგვალოუს (ოჩამჩირის რ-ნი) სანაპირო ზოლის პოლიგონებზე, მოტომსროლელ დანაყოფთა პირველი სავლე სწავლებები დაიწყო.

რუსეთის, სამხრეთის სამხედრო ოლქის (ЮВО) პრესს-სამსახურის განცხადებით სწავლებაში მონაწილეობს 700-მდე ჯარისკაცი, რომელთა 50%-ს ახალწვეულები შეადგენენ და 100-მდე ერთეული საბრძოლო ტექნიკა (ჯავშანმანქანები КамаЗ «МУСТАНГ», ჯავშანტრანსპორტიორები «БТР-82 АМ, «БТР-80»)1

მოტომსროლელთა სწავლებები ივლისის ბოლომდე გაგრძელდება და სასწავლო სროლებით დასრულდება.

---

12:10 06.06.2016 Абхазия-Информ <http://warfiles.ru/show-43836-v-abhazii-nachalis-ucheniya-motostrelkovyh-podrazdeleniy-rossiyskoy-voennoy-bazy.html>

### **7. „რეფერენდუმის ჩატარების საინიციატივო ჯგუფი რაულ ხაჯიმბას მოთხოვნათა სიას უგზავნის“**

7 ივნისს, რეფერენდუმის ჩატარების საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა, დაურ ტანიამ, დეფაქტო აფაზეთის ე.წ. პრეზიდენტს, რაულ ხაჯიმბას ღია წერილით მიმართა.

„იმისათვის, რომ საერთო სახალხო კენჭისყრა (რეფერენდუმი) ჩატარდეს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით, რეფერენდუმის ჩატარების საინიციატივო ჯგუფი მიმართავს ქვეყნის პრეზიდენტს, როგორც აფხაზეთის მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების გარანტს, მოთხოვნით შეასრულოს რიგი პირობები და გასცეს პასუხი შემდეგ კითხვებს:

1. გახანგრძლივდეს ვადაგასული პასპორტების მოქმედების ვადა 2016 წლის ბოლომდე და ნებადართული იყოს მათი მეშვეობით, აფხაზეთის მოქალაქეების რეფერენდუმში მონაწილეობის მიღება. პრეცედენტი თქვენით იყო დაშვებული 2004 წლის არჩევნების დროს.

2. შემდეგ წერილის ავტორი მოითხოვდა, პრეზიდენტს ეცნო ხელმოწერების ფურცლების ლეგიტიმურობა ან დაემტკიცებინა მათი გაყალბება. მოგვიანებით (2 სთ-ის შემდეგ) ღია წერილის ტექსტი ყველა საინფორმაციო და საძიებო საშუალებებიდან ამოღებულ იქნა.

---

07.06.2016    Абхазия Информ

## **8. „აინარი პოლიტიკური ბანკროტია“**

სოციალურ ქსელებში გავრცელებული მოწოდებების მიუხედავად, პოლიტიკური პარტია „აინარი“-ს პოლიტსაბჭოსა და აქტივის სხდომამ, დაანონსებული მრავალათასიანი მომხრეების ნაცვლად 10-15 კაცი შეკრიბა, რომელთა უმეტესობამ ვერც განმარტა თუ რისთვის იყვნენ მოსულნი.

ამ შეკრებამ ცხადყო პარტიის სისუსტე პოლიტიკური ბრძოლის სარბიელზე.

აღსანიშნავია, რომ მომხრეების დიდი რაოდენობის შეკრება ფრიად მნიშვნელოვანი იყო „აინარის“-თვის იმისათვის, რომ თავისი თურქი და დასავლეთევროპელი სპონსორებისთვის ეჩვენებინათ თუ სად და რისთვის იხარჯება გამოყოფილი თანხები. შეკრებილთა რაოდენობიდან გამომდინარე ბატონ ალმას ჯაპუას სავარაუდოდ პრობლემი შეექმნება, თავის ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის დაფინანსებაში.

მართალია, „აინარი“, როგორც პოლიტიკური პარტია ვერ ჩამოყალიბდა, მაგრამ, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, მაინც საშიშია, რადგან მისი ხელმძღვანელობის ბირთვის ავანტიურისტი და აგრესიული ადამიანები წარმოადგენენ, რომლებიც ნებისმიერ დროს ექსტრემისტული აქციების მოწყობაზე არიან წამსვლელები.

„აფხაზეთი პატარა რესპუბლიკაა, ყველა ერთმანეთს იცნობს და ამითაა გამოწვეული ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის უნდობლობა პარტია „აინარი“-ს მიმართ. აღმას ჯაპუა ცნობილია, როგორც სახელმწიფო საკუთრების ამფეთქებელი“

პარტიის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე, თენგიზ ჯოპუა, ცნობილია იმით, რომ ხელმძღვანელობდა ყველაზე კორუმპირებულ განყოფილებას აფხაზეთის საბაჟოზე.

აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა ნეგატიურად აღიქვამს „აინარი“-ს პროთურქულ, პროამერიკულ და პროევროპულ შეხედულებებს.

ხალხმა იცის, რომ მხოლოდ რუსეთია აფხაზეთის სტრატეგიული მოკავშირე, მეგობარი და უსაფრთხოების გარანტი განსხვავებით ევროპის, ამერიკის და თურქეთისაგან, რომლთაც კვლავ სურთ, აფხაზეთის, საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება. ეს გარემოება კი „აინარს“, აფხაზეთის მტერ, საქართველოს, მხარეს აყენებს.“

---

08.06.2016 Абхазия 24<http://abkhazia24.org/2016/politicheskoe-bankrotstvo-antiabhzaskogo-aynara/>

## **9. „აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პრეს-სამსახურის განცხადება“**

9 ივნისს, დეფაქტო აფხაზეთის ე.წ პრეზიდენტის პრეს-სამსახურმა, რეფერენდუმის ჩატარების საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელის, დაურ ტანას, ღია წერილში ჩამოთვლილ მოთხოვნებზე კომენტარი გააკეთა.

„1) 2016 წლის ბოლომდე გახანგრძლივდეს ძველი პასპორტების მოქმედების ვადა და მათი საშუალებით მიეცეთ მოქალაქეებს რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება.

რეფერენდუმის ჩატარების შესახებ პრეზიდენტის 2016 წლის 1 ივნისის განკარგულებით, შსს-ს დაევალა ვადაგასული პასპორტების, ყველანაირი გადასახადის გარეშე, ახლით შეცვლა.

2) ცნობს თუ არა პრეზიდენტი, ცსკო-ს მიერ მიწოდებული ხელმოწერების ფურცლების ლეგიტიმურობას და უდავო საფუძვლად რეფერენდუმის ჩატარებისა? წინააღმდეგ შემთხვევაში დაავალოს კომპეტენტურ ორგანოებს ხელმოწერების ნამდვილობის შემოწმება.

თავისი პოზიცია, ხელმოწერის ფურცლების შესახებ, პრეზიდენტმა, 1 ივნისს საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს დააფიქსირა. მრავალრიცხოვანი დარღვევების აღმოჩენა კალიგრაფიული და სპეციალური ექსპერტიზის ჩატარების გარეშეც შესაძლებელია, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად პრეზიდენტმა რეფერენდუმის ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო და მის შეცვლას არ აპირებს.

3) პრეზიდენტმა ოფიციალურად განაცხადოს-თუ რეფერენდუმში მონაწილეთა უმეტესობა, პრეზიდენტის ვადამდელ არჩევნებს დაუჭერს მხარს, დაინიშნება თუ არა ვადამდელი არჩევნები?

ღია წერილის ავტორებს შევახსენებთ, რომ პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნა, ვადამდელის ჩათვლით, აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-6 მუხლის

(აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის შესახებ კანონი) თანახმად, საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) კომპეტენციაშია. საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ დაემორჩილება იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც ხალხი მიიღებს!

4) აფხაზეთის რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის (საერთო სახალხო კენჭისყრის შესახებ) თანახმად გამოქვეყნდეს რეფერენდუმის შედეგები.

დაურ ტანიასთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ რეფერენდუმის შედეგებს ცსკო აქვეყნებს.“ დასასრულს, დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის პრეს-სამსახურმა აღნიშნა, რომ რაულ ხაჯიმბასთვის მიუღებელია ულტიმატუმების ენით საუბარი მითუმეტეს მაშინ, როდესაც ამის საფუძველი არ არსებობს.

---

09.06.2016 [АпсныПрессhttp://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT\\_ID=4279](http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=4279)

### **10. „15 ივნისს, აფხაზეთის პარლამენტის სასესიო სხდომა გაიმართება“**

15 ივნისს ჩანიშნულ სასესიო სხდომაზე იგეგმება 17 საკითხის განხილვა. პირველ რიგში იმსჯელებენ „აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრისთვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების შესახებ“ დადგენილებაზე. აგრეთვე განიხილავენ „რესპუბლიკური და მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის შესახებ“ კანონპროექტს. სესიის სხდომის დღის წესრიგში დგას „აფხაზეთის რესპუბლიკაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ და „აფხაზეთის რესპუბლიკაში შესვლის და აფხაზეთის რესპუბლიკიდან გასვლის წესის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანა.

---

11:55 14.06. 2016 Абхазия-Информ <http://abkhazinform.com/item/3954-v-povestku-dnya-zavtrashnego-zasedaniya-sessii-parlamenta-vklyucheno-postanovlenie-ob-ob-yavlenii-votuma-nedoveriya-premer-ministru-respubliki-abkhaziya>

### **11. „პოლიტიკური პარტიის პოლიტსაბჭოს მდივნის გატაცება“**

4 ივლისს, დეფაქტო აფხაზეთის, ქ. სოხუმის პროკურატურამ, პოლიტიკური პარტია „ერთიანი აფხაზეთის“ (Единая Абхазия) პოლიტსაბჭოს მდივნის გატაცების ფაქტზე, სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

დეფაქტო ქ. სოხუმის პროკურორის, რუსლან ტიკრბას თქმით: „აფხაზეთის მოქალაქის, 1980 წელს დაბადებული ირინა დოჩიას გატაცების ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 119-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით (ადამიანის გატაცება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ“.

ე.წ. ქალაქის პროკურორმა დაამატა, რომ დანაშაული ჩადენილ იქნა 2 ივლისს.

---

15:43 04.07.2016 И.А. ТАСС <http://tass.ru/proisshestiya/3428847>

## **12. „პრეზიდენტის პრეს-სამსახურის განცხადება“**

5 ივლისს დეფაქტო აფხაზეთის ოპოზიციურ ძალთა ბლოკის პოლიტიკური ღონისძიება იგეგმება.

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის პრეს-სამსახური განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია: „ჩვენი ინფორმაციით, ამ ღონისძიების მსვლელობის დროს შესაძლოა გაჟღერებულ იქნას პროვოკაციული მოწოდებები, შეუსრულებელი მოთხოვნები, რომლებიც მიმართული იქნება ვითარების დესტაბილიზაციისაკენ და 10 ივლისს ჩასატარებელი რეფერენდუმის ჩაშლისაკენ!“

ე.წ. პრეს-სამსახურის განცხადებით ოპოზიციამ იცის, რომ რეფერენდუმი მათთვის უარყოფითი შედეგით დასრულდება და ამიტომ ყველანაირად ცდილობს მის ჩაშლას.

„მოვუწოდებთ ჩვენს მოქალაქეებს არ წამოეგონ პროვოკაციაზე, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ის. ჩვენი მხრიდან კი ვარწმუნებთ მათ, რომ ხელისუფლება, კანონით მინიჭებულ, ყველა ბერკეტს გამოიყენებს სტაბილურობის შესანარჩუნებლად“-ნათქვამია განცხადების დასასრულს.

---

17:00 04.07.2016 Пресс-служба Президента Республики Абхазия  
[http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT\\_ID=4810](http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=4810)

## **13. „რაულ ხაჯიმბას მიმართვა მოქალაქეებისადმი“**

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა 5 ივლისს მომხდარ არეულობებს შეფასება მისცა. რაულ ხაჯიმბას თქმით, ქვეყანა დესტაბილიზაციისა და ქაოსის პირასაა.

ე.წ. პრეზიდენტმა, მოქალაქეებისადმი მიმართვაში, აღნიშნა, რომ დეფაქტო აფხაზეთში არსებობენ ძალები, რომლებიც ბინძური ტექნოლოგიებით აპირებენ ხელისუფლებაში მოსვლას, რაც გამოიწვევს სისხლის ფასად მოპოვებული დამოუკიდებლობის დაკარგვას. რაულ ხაჯიმბას მიმართვის ბოლოში ვკითხულობთ:

„შესაძლებელია რეფერენდუმის ინიციატორებს არ ესმით თავისი ქმედებების დამღუპველი შედეგები, არ აქვთ გააზრებული, რომ მანიპულაციის მსხვერპლნი არიან. მიუხედავად ამისა, მე მივეცი უფლება რეფერენდუმის ჩატარების და გავაკეთე ეს ქვეყანაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად.“

---

пресс-служба президента РА [http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT\\_ID=4834](http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=4834)

## **14. „აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ჟურნალისტებს შეხვდა“**

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივანმა, ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე ოპოზიციის ლიდერებთან საუბარს აზრი არ აქვს, რადგანაც:

„იმ დროს, როდესაც ოპოზიციურ ძალთა ბლოკის წარმომადგენლები პრეზიდენტთან, რეზოლუციით მივიდნენ, მათი მომხრეები შსს-ზე შტურმს იწყებდნენ. მომიტინგეების მიზანს სიტუაციის დაძაბვა და სისხლისღვრის გაჩაღება წარმოადგენდა, მაგრამ ხელისუფლება არ დაუშვებდეს დესტაბილიზაციას, რომელიც ე.წ. ოპოზიციას სურს. ყველა პირი, ვინც დამნაშავეა არეულობის მოწყობის მცდელობაში, კანონის წინაშე აგებს პასუხს.“  
ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივანმა დაამატა, რომ 6 ივლისს, დილით, შსს-მ და სახელმწიფო უშიშროების საბჭომ, მომხდარის ანალიზის შედეგად, ვითარების სტაბილიზაციის კონკრეტული გეგმა შეიმუშავეს

---

06.07.2016 АИААИРА [http://www.aiaaira.com/news/politics/mukhamed\\_kilba\\_vinovnye\\_zh\\_organizatsiyu\\_massovykh\\_besporядkov\\_budut\\_privlecheny\\_k\\_otvetstvennosti/](http://www.aiaaira.com/news/politics/mukhamed_kilba_vinovnye_zh_organizatsiyu_massovykh_besporядkov_budut_privlecheny_k_otvetstvennosti/)

### **15. „რით დამთავრდება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება აფხაზეთში“**

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების თქმით, 5 ივლისს ქ. სოხუმში გამართული საპროტესტო მიტინგის ორგანიზატორებს, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ.

დეფაქტო აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ BBC-ის რუსულენოვანი სამსახური თვითმხილველებს, ექსპერტებს, პოლიტიკოსებს გაესაუბრა.

ოპოზიციის ერთერთმა ლიდერმა, დიმიტრი დბარმა (საზოგადოებრივი მოძრაობა „კიარაზაა“), ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მათ (ოპოზიციამ) პრეზიდენტს გადაუგზავნეს მიტინგის რეზოლუცია რეფერენდუმის ჩატარების ვადის (სექტემბრამდე) გადაწევის და ოპოზიციისათვის, სახელმწიფო ტელევიზიებში, საეთერო დროის დათმობის მოთხოვნით, რაზეც ე.წ. პრეზიდენტისგან უარი მიიღეს.

ე.წ. სახალხო კრების (პარლამენტის) ყოფილი დეპუტატის, ლევან მიქაას, თქმით ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება 10-15 წელია გრძელდება. ხელისუფლებები იცვლებოდა, ალექსანდრე ანჟვაბი (მასობრივი არეულობების შედეგად) რაულ ხაჯიმბამ შეცვალა, რომელიც მოსახლეობას პირდებოდა სოციალური, კრიმინოგენული, ეკონომიკური, პოლიტიკური ვითარების გამოსწორებს. ყველგან არის უკეთესობა რუსეთშიც, საქართველოშიც და მხოლოდ აფხაზეთში რჩება ყველაფერი ისევე, როგორც ადრე იყო.

რესპონდენტებს, დეფაქტო აფხაზეთის პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, პრეზიდენტობის რეალურ კანდიდატებად მიაჩნიათ:

- მოქმედი ე.წ. პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, რომლის რეიტინგიც საკმაოდ მაღალია (გამოკითხვებით მას მოსახლეობის ნახევარზე მეტი უჭერს მხარს)
- ასლან ბჟანია (დეფაქტო აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი), რომელმაც 2014 წლის არჩევნებზე ხმების 35% მოაგროვა
- ალხას კვიცინია (ოპოზიციური პარტია „ამცახარა“-ს ლიდერი)
- დიმიტრი დბარი (საზოგადოებრივი მოძრაობა „კიარაზაა“-ს თავმჯდომარე)

---

06.07.2016 BBC русская служба <http://www.bbc.com/russian/features-36728376>

## **16. „ცსკო-ს თავმჯდომარე 10 ივლისის რეფერენდუმის შესახებ“**

7 ივლისს, დეფაქტო აფხაზეთის ცსკო-ს ე.წ. თავმჯდომარე, ბათალ ტაბალუა, განცხადებას აკეთებს:

„დაზუსტებული მონაცემებით, სახალხო კენჭისყრის სია 133 202 ადამიანისგან შედგება.“ რეფერენდუმი შედგება 10 ივლისს, კენჭისყრისთვის გამოყოფილია 151 უბანი, რომლებიც, მოსკოვის დროით, 07:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე იმუშავებენ.

დეფაქტო აფხაზეთის, რეფერენდუმის შესახებ კანონის 23-ე მუხლის თანახმად, კენჭისყრის ბიულეტენში ასახულია რეფერენდუმში დასმული კითხვის ტექსტი. კერძოდ: „თვლით თუ არა საჭიროდ, აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ვადამდელი არჩევნების ჩატარებას?“

კენჭისყრის მონაწილის სავარაუდო პასუხი-„კი“ ან „არა“

---

07.07.2016 Абхазия Информ ЗАКОН РЕСПУБЛИКИ АБХАЗИИ О ВСЕНАРОДНОМ ГОЛОСОВАНИИ (РЕФЕРЕНДУМЕ)

## **17. „პრემიერ მინისტრისთვის უნდობლობის ვოტუმის გამოტანის საკითხის განხილვა მესამედ გადაიდო“**

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის დეპუტატებმა არტურ მიქვაბიასთვის უნდობლობის ვოტუმის გამოტანის საკითხის განხილვა მესამედ გადადეს.

დღის წესრიგში ეს საკითხი ე.წ. დეპუტატ ალმას ჯაპუას მოთხოვნით დადგა, რომელმაც ე.წ. პარლამენტის წევრებს შეახსენა, რომ ორშაბათს სპიკერთან დილის თათბირზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება ამ საკითხის განხილვის 27 ივლისისთვის გადადებისა, რადგან ე.წ. პრემიერ მინისტრი მიემგზავრებოდა მოსკოვში რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე.

ალმას ჯაპუას თქმით:

„ეს სერიოზული შეხვედრაა და ჩვენ უნდობლობის ვოტუმის საკითხის განხილვა 27 ივლისისთვის გადავდეთ, მაგრამ დღეს სასესიო სხდომის წინ ვიყავი მინისტრთა კაბინეტში და პრემიერი თავის სამუშაო ადგილზე იმყოფებოდა.“

ალმას ჯაპუა თანამდებობისთვის შეუფერებლად თვლის ე.წ. პრემიერის ამ საქციელს.

ე.წ. დეპუტატი თვლის, რომ მთავრობამ მთლიანად ჩააგდო პასპორტიზაციის პროცესი, არათანმიმდევრული და არასწორია ეკონომიკური პოლიტიკა. არ სრულდება საკანონმდებლო ორგანოს დადგენილებების უმრავლესობა..

ე.წ. მთავრობის ხელმძღვანელმა, არტურ მიქვაბიამ, წაყენებულ ბრალდებებს სიცრუე უწოდა.

---

20.07.2016 Абхазия-Информ <http://abkhazinform.com/item/4215-deputaty-parlamenta-v-tretij-raz-otkladyvayut-rassmotrenie-voprosa-o-votume-nedoveriya-premer-ministru-arturu-mikvabiya>

## **18. „პარლამენტმა პრივატიზაციის შესახებ კანონპროექტი საბოლოო მოსმენით მიიღო“**

რვაწლიანი განხილვის შემდეგ, დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პარლამენტმა ბოლო მოსმენით „სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების პრივატიზაციის შესახებ“ კანონპროექტი დაამტკიცა.

ე.წ. პარლამენტის სპიკერის, ვალერი ბგანბას, თქმით;

„პარლამენტი რვა წელი მუშაობდა ამ კანონპროექტზე, რომელიც არაერთხელ მოიხსნა დღის წესრიგიდან და დღეს გამოტანილ იქნა საბოლოომოსმენაზე.“

ე.წ. პარლამენტის, ეკონომიკური რეფორმების და ინოვაციების კომიტეტის თავმჯდომარის, გურამ ბარგანჯიას, თქმით, მოცემული კანონპროექტი მიმართულია დეფაქტო აფხაზეთისთვის ხელსაყრელი ცივილიზებული და ხელსაყრელი პრივატიზაციის პროცესისაკენ.

აგრეთვე, გურამ ბარგანჯიამ, კანონპროექტის განხილვისას აღნიშნა:

„კანონპროექტში შეტანილ იქნა ბევრი ცვლილება. კერძოდ, იკრძალება სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების პირდაპირი წესით გაყიდვა. ნებადართული იქნება პრივატიზაცია აუქციონების და კონკურსების მეშვეობით. პრივატიზაციიდან მიღებული თანხები განაწილდება სახელმწიფო ადგილობრივ ბიუჯეტებში 50/50-ზე პრინციპით“

საბოლოო ჯამში პრივატიზაციის ისეთი მეთოდი, როგორცაა პირდაპირი წესით მიყიდვა, კანონპროექტიდან ამოღებულ იქნა.

---

20.07.2016      Абхазия-Информ      <http://abkhazinform.com/item/4221-parlament-prinyal-v-okonchatelnom-chtenii-zakonoproekt-o-privatizatsii-respublikanskoj-i-munitsipalnoj-sobstvennosti>

## **19. „აფხაზეთის მთავრობა და ოპოზიცია ერთმანეთს ბრალდებებს უყენებენ“**

10 ივლისს ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ, რომელიც ოფიციალურად ჩაშლილად გამოცხადდა, არ წყდება დეფაქტო აფხაზეთის მთავრობასა ე.წ. ოპოზიციას შორის დაპირისპირება. მხარეები ერთმანეთს კონსტიტუციისა და კანონის დარღვევაში ადანაშაულებენ.

ოპოზიციური პოლიტიკური პარტია „ამცახარა“-ს განცხადებით ე.წ. ხელისუფლებამ ვერცერთ შეკითხვას კონკრეტული პასუხი ვერ გასცა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ოპოზიციური ძალები სწორად მოქმედებენ.

ე.წ. ოპოზიციური პოლიტიკური პარტია „ამცახარა“-ს განცხადებაში ვკითხულობთ:

„შექმნილი სიტუაცია გვარწმუნებს, რომ ხელისუფლება არანაირი ქმედითი ნაბიჯების გადადგმას არ აპირებს ოპოზიციასთან კონსტრუქციული დიალოგის დაწყების მიმართულებით. მეტიც, რესპუბლიკის ხელისუფლება აგრძელებს საზოგადოებაში ურთიერთ დაპირისპირების პროვოცირების კურსს“

ე.წ. ოპოზიციის განცხადებით:

„ჩვენ ვიწყებთ მზადებას საერთო-სახალხო შეკრებისათვის, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის ერთადერთი საშუალებაა“

საპასუხოდ, დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის პრეს-სამსახური, თავის ოფიციალურ გვერდზე, განცხადებას აქვეყნებს. სადაც ნათქვამია:

„სამწუხაროდ ნებისმიერ შემთხვევაში, ოპოზიციის ლიდერები, თავისი უსაფუძვლო ბრალდებების მეშვეობით, ყველანაირად ცდილობენ შუღლი დათესონ საზოგადოებაში და თავი აარიდონ კონსტრუქციული დიალოგის გზით პრობლემის მოგვარებას“

---

22.07.2016      Абхазия-Информ      <http://abkhazinform.com/item/4236-vlasti-i-oppozitsiya-prodolzhayut-obmenivatsya-obvinitelnymi-zayavleniyami>

**20. „პრემიერ მინისტრის გადადგომა საზოგადოებაში დამაბულობის მოხსნას ემსახურება“**

26 ივლისს დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა არტურ მიქვაბიას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებულებას ხელი მოაწერა.

იმავე ბრძანებულებით ე.წ. პრემიერ მინისტრის დროებით მოვალეობის შემსრულებლად ე.წ. პირველი ვიცე პრემიერი, შამილ აძინბა, დაინიშნა.

ე.წ. მინისტრთა კაბინეტს დაევალა თავისი მოვალეობის შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე.

პოლიტოლოგის, ალექსეი ჩესნაკოვის (რუსეთის პოლიტიკური კონიუნქტურის ცენტრის დირექტორი), აზრით, მოცემული გადაწყვეტილება მიღებულია დეფაქტო აფხაზეთში ივნის-ივლისში განვითარებული მოვლენების შედეგად შექმნილი დამაბულობი ვითარების გასაჩივრებლად.

---

26.07.2016 Аbхазия 24 <http://abkhazia24.org/2016/politolog-prezident-abhazii-otstavkoy-premera-stremitsya-snyat-napryazhennost-v-obshhestve/>

**21. „მიმდინარე წლის ბოლომდე აფხაზეთში საკონსტიტუციო სასამართლო შეიქმნება“**

21 ივლისს, საინფორმაციო სააგენტო „ТАСС“-თან ინტერვიუში რაულ ხაჯიმბამ განაცხადა:

„საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნას არაფერი არ უშლის ხელს. ყველა მოსამზადებელი ღონისძიებები უკვე დასრულებულია. ჯერ კიდევ 2015 წელს იქნა შეტანილი შესაბამისი ცვლილებები კონსტიტუციაში, შემუშავებულია საკონსტიტუციო სამართალწარმოების კოდექსი.“

ე.წ. პრეზიდენტმა დაამატა, რომ ე.წ. საკონსტიტუციო სასამართლოს დაფინანსება გაწერილია 2016 წლის ბიუჯეტში და დარჩენილია მხოლოდ შემადგენლობის დამტკიცება.

---

21.07.2016 «ТАСС» <http://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/3474567>

**22. „აფხაზეთის გენერალურმა პროკურორმა გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა“**

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის პრეს-სამსახური განცხადებას ავრცელებს:

„აფხაზეთის გენერალურმა პროკურორმა, ალექსეი ლომიამ, თავად დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ და ამის შემდეგ აფხაზეთის პრეზიდენტმა ეს საკითხი სახალხო კრებაში (პარლამენტში) განსახილველად წარადგინა.“

ამ საკითხვის განხილვა პარლამენტში ა.წ. 27 ივლისს იგეგმება.

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. გენერალურ პროკურორს, ე.წ. პრეზიდენტის წარდგენით, ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ე.წ. სახალხო კრება (პარლამენტი).

---

27.07.2016 Кавказский Узел <http://www.kavkaz-uzel.eu/articles/286456/>

### **23. „რაულ ხაჯიმბა მინისტრთა კაბინეტის მუშაობის შესახებ“**

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი მთავრობის გადადგომის თაობაზე განცხადებას აკეთებს.

27 ივლისს გამართულ ბრიფინგზე, რაულ ხაჯიმბამ, დეფაქტო აფხაზეთის საზოგადოებას ე.წ. მინისტრთა კაბინეტში განხორციელებული ცვლილების შესახებ იფორმაცია მიაწოდა.

ე.წ. მთავრობის მუშაობის შეფასებისას რაულ ხაჯიმბამ აღნიშნა:

„მინისტრთა კაბინეტის ამ შემადგენლობამ ძალიან დიდი სამუშაო გაწია ბიუჯეტის გაზრდის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის რეალიზაციის და სახაზინო სისტემის დანერგვის საკითხში.“

ე.წ. პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ არტურ მიქვაბიას გადაგომა გავლენას არ იქონიებს სამთავრობო სტრუქტურის მუშაობაზე და დაამატა:

„მთავრობა საშტატო განრიგით გააგრძელებს თავის საქმიანობას. ახალი პრემიერ მინისტრის დანიშვნამდე მთავრობის ხელმძღვანელის მოვალეობას პირველი ვიცე-პრემიერი, შამილ აძინბა, შეასრულებს. რაც შეეხება ახალი პრემიერ მინისტრის კანდიდატურის არჩევას ვიხელმძღვანელებ მისი უნარით ოპერატიულად და ეფექტურად გადაჭრას დასმული ამოცანები.“

---

27.07.2016АИААИРАhttp://www.aiaaira.com/news/politics/raul\_khadzhimba\_otstavka\_pravitelstva\_ne\_svyazana\_s\_trebovaniyami\_oppozitsii/

### **24. „რაულ ხაჯიმბამ პარლამენტში კანონპროექტი წარადგინა“**

დეფაქტო აფხაზეთის, ე.წ. პრეზიდენტმა, „უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ“, კანონპროექტი ე.წ. პარლამენტში განსახილველად შეიტანა.

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის სახელმწიფო-სამართლებრივი სამმართველოს უფროსის, დავით სანგულიას, თქმით:

„მოცემული კანონპროექტი შემუშავებულია აფხაზეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს მიერ, მიმართულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ინვესტიციების მოსაზიდად და განიხილება, როგორც ერთიანი საკადასტრო სისტემის შექმნისათვის გადადგმული პირველი ნაბიჯი.“

აგრეთვე, დავით სანგულიამ, აღნიშნა, რომ კანონპროექტის დამტკიცება უზრუნველყოფს უძრავი ქონების მფლობელების კანონიერი უფლებების დაცვას და საკუთრების რეგისტრაციის სფეროში სახელმწიფო სერვისების დონის ამაღლებას.

---

01.08.2016ОфициальныйсайтПрезидентаРАhttp://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT\_ID=4941

### **25. . „რაულ ხაჯიმბამ ხუთი ახალი მინისტრის დანიშვნას მოაწერა ხელი“**

ახალი ე.წ. პრემიერ მინისტრის, ბესლან ბარციცის, დანიშვნასთან დაკავშირებით დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობის ფორმირება დაიწყო.

მინისტრის პორტფელები ჩაიბარეს:

1. დეფაქტო აფხაზეთის შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი რუსლან აჯბა.
2. კულტურისა და აფხაზეთის ისტორია-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მინისტრი ელვირა არსალია.
3. დეფაქტო აფხაზეთის საგანგებო ვითარებათა მინისტრი ლევ კვიცინია.
4. ტურიზმისა და კურორტების მინისტრი ავთანდილ გარცკია.
5. დეფაქტო აფხაზეთის თავდაცვის მინისტრი ე.წ. არმიის გენერალი მირაბ ქიშმარია.

---

23.08.2016აიააირაhttp://aiaaira.com/news/politics/prezident\_naznachil\_pyat\_ministrov\_novogo\_kabmina\_abkhazii/

**26. „გაერთიანებული შეიარაღებული ძალების დაჯგუფება, არა მხოლოდ ქვეყნის უსაფრთხოებაა, არამედ აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის ხარისხობრივი ზრდაა“**

24 მაისი, აფხაზეთის სახალხო კრების (პარლამენტის) დეპუტატი ლევონ ჰალუსტიანი განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ნათქვამია, რომ რეგიონალურ პოლიტიკაში ისეთი ვითარება შეიქმნა, როგორსაც ანალიტიკოსები პროგნოზირებდნენ. დეპუტატი აცხადებს, რომ საქართველო გადაიქცა ევროატლანტიკური ალიანსის შეიარაღებული ძალების საცდელ პოლიგონად. ფორმალურად, ეს ქვეყანა, არ შეიძლება ალიანსის წევრი გახდეს, მაგრამ ფაქტიურად უკვე ნატო-ს თავდაცვითი სისტემის ნაწილია. ამ ვითარებაში, აღნიშნავს დეპუტატი, ძალიან დროული იყო, რუსეთის სახელმწიფოსთან, გაერთიანებული შეიარაღებული ძალების დაჯგუფების შექმნის შესახებ, ხელშეკრულების გაფორმება.

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ჩვენი პასუხი ნატოს. დღევანდელ რეალობაში, შეუძლებელია აფხაზეთის უსაფრთხოება გარანტირებული იყოს თუ ჩვენ, რომელიმე მძლავრ თავდაცვით ალიანსში არ გავწევრიანდით და არ ვთვლი, რომ ამით აფხაზეთის თავდაცვისუნარიანობას რამე საფრთხე ემუქრება. პირიქით, გაერთიანებული ჯარების დაჯგუფება ეს-ხარისხის ზრდის შესაძლებლობაა. ჩვენ საუკეთესო მობილური ჯარი გვყავს, კარგი რეზერვით, მაგრამ ჩვენი მოწინააღმდეგე უკვე საქართველო კი არა, ევროატლანტიკური ალიანსია. ამ ყველაფრიდან გამომდინარე აუცილებელია ჩვენს გვერდით იყოს ბრძოლისუნარიანი, თანამედროვე არმია, რუსეთის შეიარაღებული ძალების სახით.

---

05.2016 Abkhazia news

**27. „თურქეთის სპეცსამსახურები აფხაზეთში გააქტიურდნენ“**

კავკასიაში შექმნილმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ გამოიწვია თურქეთის სპეცსამსახურების გააქტიურება. აშკარაა, რომ ანკარა ცდილობს ინიციატივის ხელში აღებას და მართვის სადავეების მოსკოვისთვის გამოცლას. თურქეთი, ამ მიზნების განსახორციელებლად, აზერბაიჯანის გარდა აფხაზეთზეც (შეინიშნება პროთურქული ძალების გავლენის სფეროების გაფართოება) ამყარებს იმედებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, თურქეთის საკურორტო ქალაქ ბანდირმაში, ამ დღეებში გამართული კულტურისა და ტურიზმის ფესტივალი, რომელიც წარმოადგენს თურქეთის სპეცსამსახურების, პოსტსაბზოთა სივრცეში მყოფ აგენტურასთან, შეხვედრის ცენტრს.

ამ ფესტივალზე, კულტურასა და ტურიზმზე დისკუსიებს ამოფარებული, მსჯელობენ იდეოლოგიური ხასიათის სტრატეგიაზე. განსაკუთრებული ინტერესების სფეროში იმყოფებიან პოლიტიკოსები, მაღალი რანგის ჩინოვნიკები, საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები და სასულიერო პირები. მათთან, როგორც წესი განიხილება იდეოლოგიური და საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ხასიათის თემები. ანკარა განსაკუთრებით საჭიროებს პროთურქული და „ისლამისტური მოძრაობის“ ინტერესების გამტარებლების არსებობას აფხაზეთში, ამიტომაც მათი საქმიანობის უზრუნველსაყოფად სახსრებს არ იშურებს.

აღსანიშნავია, რომ ბანდირმის ფესტივალზე იმყოფებოდა პოლიტიკური პარტია „აინარი“-ს წევრი, დეფაქტო აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატი, სკანდალურად ცნობილი ალმას ჯაპუა,<sup>1</sup> რომელიც ჩვეულებისამებრ აგრძელებს ანტიაფხაზურ საქმიანობას.

საინტერესოა, რომ დეპუტატი, თავისუფლად გადაადგილდებოდა ფესტივალის კულუარებში, სადაც აქტიურ კომუნიკაციაში იმყოფებოდა თურქეთის სპეცსამსახურების თანამშრომლებთან. სავარაუდოდ ამ კონტაქტების შესახებ ინფორმაცია ახლო მომავალში გაჟონავს მასმედიაში, მაგრამ უდავოა, ასლან ჯაპუას ოპოზიციური აქტიურობა გაზრდილია, რაც იმის მანიშნებელია, რომ ინსტრუქციები და დაფინანსება, თურქეთის სპეცსამსახურებიდან, მიღებული აქვს.

ასლან ჯაპუას მოგზაურობის მხატვრულად აღწერილი დეტალები და სოციალურ

ქსელებში გამოქვეყნებული, „მშური დახვედრით“ აღფრთოვანებული პოსტები გაკვირვებას იწვევს.

საინტერესოა, როდიდან გახდნენ თურქები, დეპუტატის ძმები? იქნებ მაშინ, როდესაც არ ცნეს და არც არასოდეს ცნობენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას! თუ მაშინ, როდესაც ასლან ჯაპუას მიერ კონტროლირებად „NGO“-ში, თურქეთის სპეცსამსახურებმა, თანხები ჩარიცხეს, იმისათვის, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაციისაკენ მიმართულ მათ საქმიანობას, ხელი არ შეშლოდა უსახსრობის გამო?

„იბადება სავსებით ლეგიტიმური შეკითხვა:-კიდეც რა უნდა მოიმოქმედონ, ასლან ჯაპუას მსგავსებმა, რომ მათი, ქვეყნისათვის ძირგამომთხრელი საქმიანობით, აფხაზეთის ძალოვანი სტრუქტურები დაინტერესდნენ“?

---

დანიელ გაბნია , „Новости Абхазии“-მთავარი რედაქტორი

09:02 30.05.2016 АБХАЗИЯ 24

## **28. „აფხაზეთის საგარეო უწყებამ, ამერიკის სახეკლმწიფო დეპარტამენტის დასკვნას არაობიექტური უწოდა“**

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა, 2015 წლის პერიოდში, მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ვითარების შესახებ, ყოველწლიური მოხსენება გამოაქვეყნა. მოხსენებაში დეფაქტო აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკები მოხსენიებულია, როგორც საქართველოს სეპარატისტული რეგიონები.

დეფაქტო აფხაზეთის საგარეო უწყების კომენტარებში ვკითხულობთ:

„მოხსენების ტექსტი გაჯერებულია აფხაზეთისათვის ისეთი მიუღებელი ფორმულირებებით, როგორცაა ოკუპირებული ტერიტორია და ადმინისტრაციული გამყოფი ხაზი, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი სრულ იგნორირებას უწევს აფხაზეთის პოლიტიკურ რეალობას.

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო უწყების კომენტარში ხაზგასმით არის აღნიშნული; „უპირველეს ყოვლისა გვინდა შეგახსენოთ, რომ აფხაზეთი სუვერენული, აღიარებული რესპუბლიკაა, რომლის მთელ ტერიტორიაზეც ვრცელდება სახელმწიფო ძალაუფლება. აფხაზეთში, რუსეთის სახელმწიფოს სამხედრო ბაზების არსებობა არ შეიძლება ჩაითვალოს ოკუპაციის მაჩვენებლად, რადგანაც მათ ყოფნას რესპუბლიკის ტერიტორიაზე ითვალისწინებს სოხუმსა და მოსკოვს შორის დადებული სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულება.“

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო უწყებამ თავის კომენტარში მიუთითა რამოდენიმე პუნქტზე, რომლებშიც ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, რეალური ვითარება დამახინჯებულია. ფაქტების არასწორად წარმოჩენის მაგალითად მოყავს ის პუნქტები სადაც საუბარია გალის მოსახლეობის გადაადგილების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვაზე. აგრეთვე, კომენტარებში, გაპროტესტებულია ის პუნქტი, სადაც ნათქვამია საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების საქმიანობისთვის ხელის შეშლის შესახებ.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის, მსოფლიოში 2015 წლის პერიოდში, ადამიანის უფლებების შესახებ მოხსენების პასუხად, დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო უწყების კომენტარების დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ:

„აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური მოხსენება არ ასახავს, ადამიანის უფლებების კუთხით, აფხაზეთის რესპუბლიკაში მიღწეულ კონრეტულ წარმატებებს. არ არის ნახსენები საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს მთავრობა პატიმართა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საკითხში.

მთლიანობაში, აფხაზეთთან დაკავშირებულ ნაწილში, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხზე, ყოველწლიური მოხსენება მკითხველს წარუდგენს არაობიექტურ და დამახინჯებულ სურათს!“

10.06.2016 МИД РА <http://mfaapsny.org/news/index.php?ID=4372>

## **29 „აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჟენევის მოლაპარაკებების 36-ე რაუნდის შესახებ“**

14-15 ივნისს ჟენევის მოლაპარაკებების 36-ე რაუნდი გაიმართა. დეფაქტო აფხაზეთის დელეგაციას (ლამა ავიძბა, ირაკლი ტუყუბა, თენგიზ თარბა) ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკვა ხელმძღვანელობდა. უნდა განხილულიყო უშიშროებისა და ჰუმანიტარულ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები.

პირველი და მეორე სამუშაო ჯგუფების შეხვედრის დროს, დეფაქტო აფხაზეთის დელეგაციამ გამოხატა მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება 2016 წლის 7 ივნისს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიღებული (დევნილთა შესახებ) რეზოლუციის მიმართ.

დეფაქტო აფხაზეთის, დეფაქტო სამხრეთ ოსეთის და რუსეთის ფედერაციის დელეგაციებმა კონსოლიდირებული პოზიცია დააფიქსირეს და განაცხადეს, რომ „გაეროსთვის ქართული მხარის მიერ მიწოდებული ცალმხრივი და არაობიექტური რეზოლუციების მიღების პრაქტიკა მნიშვნელოვნად აფერხებს ჟენევის დისკუსიების მუშაობას“. ამის შემდეგ, დევნილთა პრობლემების განხილვის წინ, დასახელებულმა დელეგაციებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს სხდომა.

შეხვედრის დროს განსაკუთრებული ყურადღებით განიხილეს ე.წ საზღვარზე მომხდარი ტრაგიკული ინციდენტი, რომლის შედეგად საქართველოს მოქალაქე, გიგა ოთხოზორია დაიღუპა. დეფაქტო აფხაზეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება და მოუწოდა ქართულ მხარეს თავი შეიკავოს მომხდარი ინციდენტის პოლიტიზირებისაგან.

უშიშროებისა და სტაბილურობის თემაზე, ჟენევის მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდი 4-5 ოქტომბერს გაიმართება.

---

15.06.2016 МИД РА <http://mfaapsny.org/news/index.php?ID=4382>

### **30. „რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულების პუნქტების რეალიზაცია“**

16 ივნისს, თავის განცხადებაში დეფაქტო აფხაზეთის პარლამენტის წევრი, გურამ ბარგანჯია, რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე არსებულ პრობლემებს შეეხო. მან აღნიშნა, რომ ტურისტების მიერ საზღვრის შეუფერხებლად გადაკვეთის საკითხში აშკარად შეინიშნება წინსვლა, მაგრამ არსებული ტემპები არ არის საკმარისი. მდინარე ფსოუს საზღვარზე საცობების მიზეზად დეპუტატმა დაასახელა ნორმალური, თანამედროვე სასაზღვრო პუნქტის არარსებობა, რომლის მშენებლობაც გაწერილია რუსეთსა და დეფაქტო აფხაზეთს შორის დადებულ სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებაში.

გურამ ბარგანჯიამ დაამატა, რომ საჩქაროდ არის მოსაწესრიგებელი საქართველოსა და დეფაქტო აფხაზეთის საზღვარზე არსებული მდგომარეობა. მისი თქმით უნდა დამკვიდრდეს სრული კონტროლი ფიზიკური პირებისა და ტვირთების გადაადგილებაზე, ინფორმაცია კი მიეწოდოს, როგორც აფხაზეთის, ასევე რუსეთის კომპეტენტურ ორგანოებს. დეპუტატის თქმით მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე შემოწმების რეჟიმის შემსუბუქება, რაც გამოიწვევს გამტარობის ტემპის გაზრდას.

განცხადების ბოლოს ვკითხულობთ: „ერთი სიტყვით ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ საქართველოსა და აფხაზეთს შორის საზღვარი სათანადოდ კონტროლდება ჩვენს მიერ და ამის შემდეგ რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე ყველა შემაფერხებელი ბარიერების მოხსნის საკითხიც მალე გადაწყდება“

---

16.06.2016 Абхазия 24 <http://abkhazia24.org/2016/bargandzhiya-realizatsiya-punktov-rossiysko-abhazskogo-dogovora-obespechit-polnotsennuyu-i-bespereboynuyu-rabotu-granitsyi-i-prigranichnoy-zonyi/>

### **31. „საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის შექმნის აუცილებლობის შესახებ“**

16 ივნისს, დანიელ უბირიამ<sup>1</sup> დეფაქტო აფხაზეთის მთავარ პოლიტიკურ გამოწვევად ჩასატარებელი რეფერენდუმი და მომავალი საპარლამენტო არჩევნები დაასახელა. ე.წ. საზოგადოებრივი პალატის წევრმა აღნიშნა, რომ ამ გამოწვევების ფონზე პოლიტიკური დღის წესრიგიდან ამოვარდნილია რუსეთისა და აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროების ერთობლივი საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრის შექმნის საკითხი.

დანიელ უბირიას თქმით გამორიცხულია ე.წ. რესპუბლიკის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება და რუსეთ-დეფაქტო აფხაზეთის სასაზღვრო რეჟიმის ლიბერალიზაცია თუ არ გადაიდგა გადამწყვეტი ნაბიჯები ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში.

---

17.06.2016 Abkhazia News <http://abkhaznews.ru/2016/uberiya-nuzhno-v-krotchayshie-sroki-realizovat-soglashenie-o-sozdanii-sovmestnogo-ikts-mvd-iz-za-postoyannyih-politicheskikh-igr-myi-upuskaem-samoe-glavnoe-bezopasnost-nashih-grazhdan/>

### **32. „აფხაზური კულტურის ინსტიტუტის გახსნა“**

რომში დიმიტრი გულიას სახელობის, პირველი აფხაზური კულტურის ინსტიტუტი გაიხსნა. გახსნის ცერემონიაზე იმყოფებოდნენ დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკბა, მისი მოადგილე კან ტანია და აგრეთვე დეფაქტო რესპუბლიკის წარმომადგენელი საფრანგეთში ჯენილე დიუნდარი. ვიაჩესლავ ჩირიკბას თქმით, ინსტიტუტის შექმნის მიზანია საზღვარგარეთ აფხაზი ხალხის კულტურის, ხელოვნების და ისტორიის პოპულარიზაცია. გახსნის ცერემონიის შემდეგ შედგა ვიაჩესლავ ჩირიკბას პრეს-კონფერენცია და ასოციაცია „ევროპა-აფხაზეთი“-ს ოფისის გახსნა.

აგრეთვე შედგა გაზეთ „Абхазия Сегодня“-ს პირველი ნომრის პრეზენტაცია, რომელიც სამ თვეში ერთხელ, ოთხ (აფხაზურ, რუსულ, ინგლისურ, იტალიურ) ენაზე გამოვა.

---

21:30 17.06.2016 Апсны Пресс [http://apsnypress.info/news/?PAGEN\\_3=2](http://apsnypress.info/news/?PAGEN_3=2)

### **33. „22-23 ივნისს სოხუმში თათრეთის რესპუბლიკის კომედიისა და დრამის თეატრის გასტროლები გაიმართება“**

გასტროლები თათრეთის რესპუბლიკისა და დეფაქტო აფხაზეთის კულტურის სამინისტროებისა და ე.წ. ეროვნული ისტორიულ-კულტურული საგანძურის დაცვის ერთობლივი ღონისძიებების გეგმის ფარგლებში გაიმართება.

---

21.06. 2016 „Нужная Газета“ <http://abh-n.ru/22-i-23-iyunya-v-abxazii-projdet-gastroli-tatarskogo-teatra/>

### **34. „აფხაზეთისა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის დამაკავშირებელი გზის ახალი პროექტი“**

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტის, ლევარდ ბარციცის განცხადებით აფხაზმა და რუსმა მეცნიერებმა, აფხაზეთისა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის, დამაკავშირებელი სამთო გზის პროექტის რიგით მეორე გამოკვლევა ჩაატარეს.

ლევარდ ბარციცის თქმით, სოფელ აჭანდარიდან ყარაჩაი-ჩერქეზეთამდე გზის სიგრძე 40 კმ. იქნება და ზღვის დონიდან 600 მეტრზე გაივლის. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, სავარაუდოდ გზის მშენებლობას 15 წელიწადი დასჭირდება და 4 მლრდ. აშშ. დოლარი დაჯდება.

აღნიშნული პროექტით ყველაზე დაინტერესებულნი რუსეთი და ჩინეთი არიან, რადგანაც მშენებარე გზის მონაკვეთი შესაძლებელია გახდეს ტრანსაზიური და ტრანსკავკასიური მაგისტრალის შემადგენელი ნაწილი.

20:1928.06.2016SputnikAbkhazia<http://sputnikabkhazia.ru/Abkhazia/20160628/1018884495.html>

### **35. „ჟენევის მოლაპარაკებების შედეგების თაობაზე ვიაჩესლავ ჩირიკბას პრეს კონფერენცია“**

ვიაჩესლავ ჩირიკბას თქმით, შეხვედრაზე განიხილებოდა ორი ძირითადი საკითხი-გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს რეზოლუცია და დეფაქტო აფხაზეთის საზღვარზე მომხდარი ინციდენტი.

პირველ საკითხთან მიმართებაში ე.წ. მინისტრმა აღნიშნა, რომ დევნილთა დაბრუნების საკითხის განხილვისას, დეფაქტო აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და რუსეთის დელეგაციებმა დარბაზი, პროტესტის ნიშნად, დატოვეს იმ მიზეზით, რომ რეზოლუცია გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს გააქვს.

ვიაჩესლავ ჩირიკბამ მეორე საკითხთან დაკავშირებით განაცხადა „აფხაზური მხარე იმედოვნებს, რომ ა.წ. 6 ივლისს, ქ.გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შეხვედრაზე ქართული მხარე წარმოადგენს გამოძიებისთვის საინტერესო ინფორმაციული ხასიათის დოკუმენტებს და არა პროპაგანდისტულს, როგორც ეს ჟენევაში მოხდა, 4როდესაც ქართულმა მხარემ მტკიცებულებების ნაცვლად ბროშურა, დაღუპულის საოჯახო ფოტოებით, წარმოადგინა.“

17:47 28.06.2016 [http://apsny.ru/news/?ID=23043&PAGEN\\_1=2](http://apsny.ru/news/?ID=23043&PAGEN_1=2)

### **36. „26-27 აგვისტოს აფხაზეთში რუსეთის კულტურის დღეები ჩატარდება“**

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ქ. სოხუმში, „რუსეთი-აფხაზეთი-2016“ ფესტივალი ჩატარდება.

როგორც დეფაქტო აფხაზეთის კულტურისა და ისტორია-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ე.წ. სამინისტრო იუწყება მთავარი ღონისძიება ჭანბას სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდება, სადც მაყურებლის წინაშე წარდგებიან ყარაჩაი-ჩერქეზეთის და ყაბარდო-ბალყარეთის სახელმწიფო ცეკვის

ანსამბლები, აგრეთვე ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს კრასნოდარის კაზაკთა ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი.

ფესტივალის ფარგლებში გათვალისწინებულია, ქ სოხუმის, რუსული დრამის თეატრის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ამოქმედება, რომელიც ითვალისწინებს თეატრალური დადგმებით რეპერტუარის გაზრდას, რაც გამიზნული იქნება რუსული ტრადიციული სულიერ-მორალური ფასეულობების დამკვიდრებისთვის დეფაქტო აფხაზეთის რუსულენოვან მოსახლეობაში

---

19.08.2016 НУЖНАЯ ГАЗЕТА <https://abh-n.ru/26-i-27-avgusta-projdut-dni-rossii-v-abxazii/>

### **37. „19 აგვისტოს აფხაზეთის მთებში რუსი მზვერავების სამხედრო სწავლებები გაიმართა“**

19 აგვისტოს, წებელდის სამხედრო სამთო საწვრთნელ ბაზაზე, რუსმა მზვერავებმა, სწავლებები ჩაატარეს. სწავლების მიზანს დეფაქტო რესპუბლიკაში შემოღწეული დივერსიული ჯგუფების აღმოჩენა და განადგურება იყო,

სწავლების პერიოდში პირობითი დივერსიული ჯგუფების ძებნა მთაში და ტყეში, დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა ციფრული კავშირისა და ნავიგაციის «Грот-М»-ის საშუალებით. აგრეთვე გამოიყენებოდა ასაფეთქებელი ნივთიერებები «ИМ-120».

რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქის პრეს-რელიზში ნათქვამია, რომ სწავლებამ მაღალ დონეზე ჩაიარა და თოთხმეტივე სადადაზვერვო ჯგუფმა ბრწყინვალე საბრძოლო მომზადება აჩვენა.

სწავლებაში 200 სამხედრო მოსამსახურე და 40 ერთეული სამხედრო ტექნიკა იყო ჩართული.

---

19.08.2016 РИА новости [https://ria.ru/defense\\_safety/20160819/1474750824.html](https://ria.ru/defense_safety/20160819/1474750824.html)

### **38. „საქართველო აფხაზეთის ომის დამთავრების 24 წლის თავზე ისტორიკოსი იგორ მარუხბა, აფხაზეთის გამარჯვებაში, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის გადამწყვეტ როლზე საუბრობს“**

კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია 1989 წლის 25-26 აგვისტოს, უდიდესი პოლიტიკოსის და ტრიბუნის, პრეზიდენტის, კავკასიის ლეგენდის მუსა შანიბოვის თაოსნობით შეიქმნა ქართველთა მუხანათური შეიარაღებული თავდასხმის მოსაგერიებლად და ფაქტიურად წარმოადგენდა 1918 წლის მთის რესპუბლიკის პროტოტიპს.

აფხაზეთში ომის დაწყების მეორე დღეს, 15 აგვისტოს, ქ. გუდაუთაში, სულტან სოსლანალიევის მეთაურობით, უკვე ჩამოვიდა კონფედერანტ ყაზარდოელთა პირველი დაქირავებულ მებრძოლთა ჯგუფები. 19 ოქტომბერს, გუდაუთაში, უკვე იმყოფებოდა კონფედერაციის პრეზიდენტი მუსა შანიბოვი. მართალია მაშინდელი რუსეთის ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს უნდოდა მისი ჩამოცილება კონფედერაციის ხელმძღვანელობისგან, მაგრამ ეს გეგმა ჩავარდა.

ქ. გუდაუთაში მუსა შანიმოვმა შექმნა და სათავეში ჩაუდგა კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ოპერატიულ შტაბს და დევიზით „აფხაზეთის გამარჯვება-კავკასიის გამარჯვება“ აქტიური საზოგადოებრივ პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო.

1992 წლის, 15 სექტემბერს ვლადისლავ არძინბამ შემდეგი სიტყვებით მიმართა აფხაზებს:

„მე ვთვლი, რომ კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის პოზიციამ არ მისცა შევარდნამეს და მის აგრესორებს შესაძლებლობა ფიზიკურად გაენადგურებინათ აფხაზი ხალხი მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი რუსეთის პრეზიდენტისგან, ბორის ელცინისგან, კარტ-ბლანში ქონდათ სამდღიან ბლიცკრიგზე აფხაზი ხალხის გენოციდზე.

აფხაზი ხალხი მუდამ დააფასებს ღვაწლდაუდებელ ამას, რომელიც კონფედერანტებმა გაუწიეს ჩვენს სამშობლოს ქართველ აგრესორებთან ბრძოლაში და მათგან დაცვაში. უნდა გვახსოვდეს ვინ იდგა და იბრძოდა ჩვენს ჩვენს გვერდით. ჩვენ ვალდებულნი ვართ გვახსოვდეს ყოველი კონფედერანტი და ისინი ვინც აფხაზების გვერდით იბრძოდა ჩვენი სამშობლოს აფსნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის.

---

იგორ მარუხბა-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის, დიმიტრი გულიას სახელობის, აფხაზეთის ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი  
23.08.2016 [Апсныпрессhttp://www.apsnypress.info/reports/spustya-2-4-goda/](http://www.apsnypress.info/reports/spustya-2-4-goda/)

### ***39. „რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისთვის აფხაზეთში ცხრა საარჩევნო უბანი შეიქმნება“***

23 აგვისტოს, რაულ ხაჯიმბამ, დეფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ჩატარების ორგანიზების თაობაზე სამუშაო თათბირი ჩაატარა.

რაულ ხაჯიმბას განცხადებით რუსეთის სათათბიროს არჩევნები სათანადო დონეზე და კანონის სრული დაცვით უნდა ჩატარდეს. ე.წ. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა, როგორც არჩევნებისთვის მზადების პერიოდში, აგრეთვე უშუალოდ არჩევნების დღეს.

დეფაქტო აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის ე.წ. ელჩმა, სემეიონ გრიგორიევმა, თათბირზე განაცხადა, რომ არაღიარებულ რესპუბლიკაში შეიქმნება ცხრა საარჩევნო უბანი. ორი ქალაქ სოხუმში და თითო-თითო გაგრაში, ბიჭვინთაში, გუდაუთაში, ოჩამჩირეში, ტყვარჩელში და გალში. ე.წ. ელჩის თქმით აგრეთვე შეიქმნება კიდევ ერთი საარჩევნო უბანი სოფელ ბომბორაში, რაც განპირობებულია, რუსეთის სამხედრო ბაზასთან, რუსეთის მოქალაქეების მრავალრიცხოვანი დასახლებით.

თათბირზე დაზუსტდა, რომ რუსეთის ფედერაციის ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, დეფაქტო აფხაზეთი, მიმაგრებულია ოთხ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქს და ესენია-ბაიკალის მხარე, ვორონეჟის, სამარის და ლენინგრადის ოლქები.

თათბირის ბოლოს, რაულ ხაჯიმბამ, არჩევნებისთვის მზადების მუშაობაზე კონტროლი ე.წ. ვიცე პრემიერს, ბესლან ეშბას, დაავალა.

---

23.08.2016 [Пресс-служба Президента РАhttps://abh-n.ru/v-abxazii-budet-sozdano-devyat-izbiratelnyx-uchastkov-dlya-vyborov-v-gosdumu/](https://abh-n.ru/v-abxazii-budet-sozdano-devyat-izbiratelnyx-uchastkov-dlya-vyborov-v-gosdumu/)

#### **40. „მოსკოვში მე-13 სახელმწიფოთშორისო კომისიის სხდომა ჩატარდა“**

დეფაქტო აფხაზეთისა და რუსეთის სახელმწიფოთშორისო კომისიის სხდომის ფარგლებში მხარეებმა არალიარებული რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ინვესტირების საკითხი განიხილეს.

სხდომის დაწყებისას დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრემიერ მინისტრმა, ბესლან ბარციცმა, აღნიშნა, რომ ეს, სახელმწიფოთშორისო კომისიის, მეორე შეხვედრაა მიმდინარე წლის განმავლობაში და დაამატა:

„მე ვთვლი, რომ „სასურველი რეზულტატის მისაღწევად, მუშაობის მოცემული რიტმი აუცილებელია“

რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, ალექსანდრე ხლოპონინმა განაცხადა, რომ მიმდინარე წელს, დეფაქტო აფხაზეთი, რუსეთის ფინანსურ დახმარებას მთელი მოცულობით მიიღებს.

ჩრდილოეთ კავკასიის საკითხებში რუსეთის ფედერაციის მინისტრის მოადგილემ, ანდრეი რეზნიკოვმა, სხდომის მონაწილეებს მოახსენა, რომ დეფაქტო აფხაზეთის ფინანსური მხარდაჭერისთვის, 2016 წელს, გათვალისწინებულია 3 მლრდ. რუბლი და დღევანდელი დღისთვის, არალიარებული რესპუბლიკის, ბიუჯეტში გადარიცხულია 1,676 მლრდ. რუბლი.

სხდომაზე დადგინდა, რომ სამი წლის განმავლობაში საინვესტიციო პროგრამა 9,3 მლრდ. რუბლს შეადგენს და ეს თანხა 266 პროექტის განხორციელებას მოხმარდება.

16.08.2016 КАБИНЕТ МИНИСТРОВ РЕСПУБЛИКИ АБХАЗИЯ <http://www.km-ra.org/index.php/ru/news/item/774-v-moskve-zavershilos-trinadtsatoe-zasedanie-mezhpravitelstvennoj-komissii>

#### **41. „არტურ მიქვაბიამ მოსკოვში ოფიციალური ვიზიტის შედეგებზე ჟურნალისტებთან ისაუბრა“**

8 ივლისს ჩატარებულ ბრიფინგზე დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრემიერ მინისტრმა აღნიშნა:

„რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, ქვეყნის მეთაურის თანაშემწესთან, ვლადისლავ სურკოვთან, შეხვედრისას დადებითი შეფასება მიეცა აფხაზეთსა და რუსეთს შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების (მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ) რეალიზების მსვლელობას“ ე.წ. პრემიერ მინისტრმა დაამატა: „2015 წელთან შედარებით, 2016 წელს რუსეთის ფედერაციის დახმარება მნიშვნელოვნად გაიზარდა და 7,7 მლრდ. რუბლს მიაღწია, რაც იმის მანიშნებელია, რომ მაღალია ნდობა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კურსისადმი, რომელსაც პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა ატარებს.“

არტურ მიქვაბიამ აგრეთვე აღნიშნა, რომ რუსული მხარე შემფოთებულია იმ ფაქტით, რომ დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. ოპოზიცია გავიდა სამართლებრივი ჩარჩოებიდან.

ე.წ. პრემიერ მინისტრის თქმით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგა რუსეთის ფედერაციის მთავრობის ხელმძღვანელის მოადგილესთან, ალექსანდრე ხლოპონინთან და მინისტრთან ჩრდილო კავკასიის საკითხებში, ლევ კუზნეცოვთან. შეხვედრაზე განიხილეს დეფაქტო აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პროგრამები. კერძოდ იგეგმება 328 საინვესტიციო პროგრამის

განხორციელება და შარშანდელთან შედარებით ორჯერ მეტი ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვება.

---

21:20 08.07.2016 Апсны пресс <http://www.apsnypress.info/news/artur-mikvabiya-o-vizite-v-moskvu-namecheny-puti-effektivnoy-realizatsii-rabot-v-etom-godu-po-328-ob/>

#### **42. „ვიაჩესლავ ჩირიკბა სერბეთის რესპუბლიკის დელეგაციას შეხვდა“**

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა, კავშირ „გამარჯვების შთამომავლების“ საერთაშორისო კოორდინატორის შემადგენლობაში მყოფ სერბეთის რესპუბლიკის დელეგაციას უმასპინძლა.

შეხვედრაზე განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის პერსპექტივები ისეთ სპეროებსი, როგორცაა განათლება, ეკონომიკა, მეცნიერება, ტურიზმი და სპორტი.

ვიაჩესლავ ჩირიკბამ სტუმრებს გააცნო დეფაქტო აფხაზეთის ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ორმხრივი ურთიერთობის განვითარების დიდი პოტენციალი არსებობს.

---

11.07.2016 МИД РА <http://mfaapsny.org/news/index.php?ID=4424>

#### **43. „რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში სოხუმთან შეთანხმების რატიფიცირების კანონპროექტი შევიდა“**

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა, სახელმწიფო სათათბიროში, არაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკასთან დადებული („გაერთიანებული საჯარისო შენაერთების შესახებ“) შეთანხმების რატიფიცირების კანონპროექტი შეიტანა.

აღნიშნულ შეთანხმებას, რომელიც განსაზღვრავს გაერთიანებული საჯარისო შენაერთების ფორმირებისა და დანიშნულების წესს, 2015 წლის 21 ნოემბერს, ქ. მოსკოვში, მოეწერა ხელი.

შეთანხმებას ერთვის განმარტება, რომლის თანახმადაც რუსეთის და დეფაქტო აფხაზეთის გაერთიანებული საჯარისო შენაერთი იქმნება სამხედრო აგრესიის და სამხედრო უსაფრთხოებაზე საშიშროების შექმნის შემთხვევაში ადეკვატური რეაგირებისთვის.

---

16.07.2016 Эхо Кавказа <http://www.ekhokavkaza.com/a/27862094.html>

#### **44. „აფხაზეთისა და რუსეთის სტატისტიკის სამსახურებმა ერთობლივი მუშაობის სამწლიან გეგმას ხელი მოაწერეს“**

რუსეთის ფედერაციის სტატისტიკის ფედერალურმა სამსახურმა და დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. სტატისტიკის სახელმწიფო სამმართველომ ერთობლივი ღონისძიებების გეგმას ხელი მოაწერეს.

ხელმოწერის ცერემონია ე.წ. მინისტრთა კაბინეტში შედგა., რომელსაც ხელი მოაწერეს რუსეთის მხრიდან სტატისტიკის ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელმა

ალექსანდრე სურინოვმა და აფხაზური მხრიდან ე.წ. სტატისტიკის სახელმწიფო სამმართველოს თავმჯდომარემ, კამა გოგიამ.

ხელმოწერის წინ დელეგაციას ე.წ. პრემიერ მინისტრი „არტურ მიქვაბია შეხვდა, რომელმაც მადლობა გადაუხადა რუსულ მხარეს მრავალწლიანი დახმარებისათვის.

აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებს ორ ქვეყანას შორის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცვლას და სტატისტიკის მეთოდოლოგიის დახვეწას.

---

21.07.2016 Абхазия-Информ <http://abkhazinform.com/item/4228-rosstat-i-statupravlenie-abkhazii-podpisali-segodnya-v-sukhume-trekhletnij-plan-sovmestnykh-meropriyatij>

#### **45 „აფხაზური კულტურის ინსტიტუტის გახსნა“**

რომში დიმიტრი გულიას სახელობის, პირველი აფხაზური კულტურის ინსტიტუტი გაიხსნა. გახსნის ცერემონიაზე იმყოფებოდნენ დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკბა, მისი მოადგილე კან ტანია და აგრეთვე დეფაქტო რესპუბლიკის წარმომადგენელი საფრანგეთში ჯენილე დიუნდარი.

ვიაჩესლავ ჩირიკბას თქმით, ინსტიტუტის შექმნის მიზანია საზღვარგარეთ აფხაზი ხალხის კულტურის, ხელოვნების და ისტორიის პოპულარიზაცია.

გახსნის ცერემონიის შემდეგ შედგა ვიაჩესლავ ჩირიკბას პრეს-კონფერენცია და ასოციაცია „ევროპა-აფხაზეთი“-ს ოფისის გახსნა.

აგრეთვე შედგა გაზეთ „Абхазия Сегодня“-ს პირველი ნომრის პრეზენტაცია, რომელიც სამ თვეში ერთხელ, ოთხ (აფხაზურ, რუსულ, ინგლისურ, იტალიურ) ენაზე გამოვა.

---

21:30 17.06.2016 Апсны Пресс [http://apsnypress.info/news/?PAGEN\\_3=2](http://apsnypress.info/news/?PAGEN_3=2)

#### **46. „არტურ მიქვაბია მოსკოვში ვიზიტისას ალექსანდრე ტკაჩოვს შეხვდა“**

რუსეთში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში , დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრემიერ მინისტრი, არტურ მიქვაბია, რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის მინისტრს, ალექსანდრე ტკაჩოვს შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს არაღიარებული რესპუბლიკის აგრარული სექტორის განვითარების და დეფაქტო აფხაზეთისთვის 200 000 მლნ/ რუბლის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გადაცემის საკითხები.

„დახმარება, რომელსაც რუსეთი უწევს აფხაზეთს ძალიან დროული და აქტუალურია დღეს, როდესაც რუსეთს იმპორტის ჩანაცვლების კურსი აქვს აღებული“- ნათქვამია არტურ მიქვაბიას განცხადებაში.

თავის მხრივ ალექსანდრე ტკაჩოვმა ხაზი გაუსვა აფხაზეთში სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელობას და იმედი გამოთქვა რომ აფხაზეთიდან ციტრუსებისა და ღვინის იმპორტი გაიზრდება.

---

22.07.2016 кабинет министро РА <http://www.km-ra.org/index.php/ru/news/item/724-premer-ministr-ra-vstretilsya-s-ministrom-selskogo-khozyajstva-rf>

#### **47. „ვითარება რუსულ-აფხაზურ საზღვარზე“**

დეფაქტო რუსულ-აფხაზური საზღვრის, მდინარე ფსოუს მონაკვეთზე, შარშანდელთან შედარებით 30%-ით მეტი ტურისტი და სატრანსპორტო საშუალება გადავიდა. სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე, ივლისის პერიოდში ათასობით ადამიანი ელოდება საბაჟო კონტროლის გავლას.

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის, კრასნოდარის მხარის სასაზღვრო სამმართველოს პრეს-სამსახურის ცნობით: „დღე-ღამის განმავლობაში საზღვარს კვეთს დაახლოებით 49 000 ადამიანი და 7 000-ზე მეტი სატრანსპორტო საშუალება.“

ტურისტებისა და ავტომობილების განსაკუთრებით დიდი კონცენტრაცია შეინიშნება დილით 07:00 სთ-დან 11:00 სთ-მდე და საღამოს 18:00 სთ-დან 22:00 სთ-მდე.

რიგში მრავალსაათიანი დგომის თავიდან ასაცილებლად, ტურისტებს შეუძლიათ ისარგებლონ ელექტრომატარებლით „ადლერი-გაგრა“, რომელიც დღეში ორ რეისს ასრულებს და მგზავრების დოკუმენტების კონტროლს 30 წთ. სჭირდება.

22.07.2016

Абхазия-Информ <http://abkhazinform.com/item/4235-naibolshee-chislo-peresekayushchikh-rossijsko-abkhazskuyu-granitsu-turistov-i-avtomobilej-prikhoditsya-na-utrennie-chasy-s-07-00-do-11-00-i-vecherom-s-18-00-do-22-00>

#### **48. „ვლადისლავ სურკოვმა აფხაზეთის საკითხზე მომუშავე პირები თანამდებობიდან გაათავისუფლა“**

დეფაქტო აფხაზეთში, ოფიციალურად არშემდგარად აღიარებული რეფერენდუმის (ე.წ. პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების შესახებ) შემდეგ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან არსებულ, დეფაქტო აფხაზეთთან სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის სამმართველოში, რომელსაც ვლადისლავ სურკოვი კურირებს, ორმა რუსმა მაღალჩინოსანმა, ივანე ბოლტენკოვმა (სამმართველოს უფროსის მოადგილე) და მისმა კოლეგამ, ანტონ პუსტოვალოვმა, თანამდებობები დატოვეს.

კრემლთან დაახლოებული წყაროს თქმით, კრემლისა და უშიშროების საბჭოს ძალოვან ბლოკში დიდი ხანია უკმაყოფილებას გამოთქვამენ ვლადისლავ სურკოვის უწყების მუშაობით, განსაკუთრებით ნეგატივს იწვევს ის ფაქტი, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში დეფაქტო აფხაზეთში განვითარებული მოვლენები მიმდინარეობს რუსეთის ბიუჯეტიდან სოლიდური თანხების გამოყოფის ფონზე.

სხვა წყაროს ინფორმაციით, დეფაქტო აფხაზეთთან მიმართებაში, კრემლის პოლიტიკურ სქემაში, წამყვანი როლი ძალოვან სტრუქტურებს ეკისრებათ, რის გამოც ვლადისლავ სურკოვს და უწყების ხელმძღვანელს, ოლეგ გოვორუნს არ აქვთ დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა.

18 ივლისს ვლადისლავ სურკოვი და ოლეგ გოვორუნი, ქალაქ სოხუმში ვიზიტის დროს, რაულ ხაჯიმბას შეხვდნენ, სადაც განიხილეს აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის რეალიზაციის საკითხები. ე.წ. პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, შეხვედრაზე პოლიტიკური სტაბილიზაციის საკითხები არ განიხილებოდა.

28.07.2016 ВЕДОМОСТИ <http://www.vedomosti.ru/politics/articles/2016/07/28/650857-podchinennie-vladislava-surkova-lishilis-postov-posle-krizisa-abhazii>

**49. „არტურ მიქვაბია, ადამიანთა უფლებების საკითხებში, ევროსაბჭოს სპეციალურ მრჩეველს შეხვდა“**

13 ივნისს, დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრემიერ- მინისტრმა არტურ მიქვაბიამ, ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარე, ადამიანის უფლებების საკითხებში, თომას ჰამარბარგი მიიღო.

უფლებადამცველის ვიზიტის მიზანია, დეფაქტო აფხაზეთში, ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით, ვითარების შესწავლა.

დეფაქტო რესპუბლიკის ე.წ. პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა უდიდეს წვლილს, რომელიც თომას ჰამარბარგს აქვს შეტანილი, ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

თავის მხრივ, თომას ჰამარბარგმა აღნიშნა: „ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხში სირთულეები ყველა ქვეყანაში არსებობს. მთავარია, რომ დაინტერესებული იყოს ამაში ის ხალხი, რომელთაც ევალებათ ამ პრობლემების მოგვარება.“

თომას ჰამარბარგის თქმით, იგეგმება ადამიანის პირადი უფლებების დაცვის სფეროში ვითარების გამოკვლევა, რომლის შედეგები, რეკომენდაციებთან ერთად, გადაეცემა დეფაქტო რესპუბლიკის მთავრობას

---

13:35 13.06 2016 АПСНЫ-ПРЕСС

**50 „აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჟენევის მოლაპარაკებების 36-ე რაუნდის შესახებ“**

14-15 ივნისს ჟენევის მოლაპარაკებების 36-ე რაუნდი გაიმართა. დეფაქტო აფხაზეთის დელეგაციას (ლამა ავიძბა, ირაკლი ტუჭბა, თენგიზ თარბა) ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი ვიჩესლავ ჩირიკბა ხელმძღვანელობდა. უნდა განხილულიყო უშიშროებისა და ჰუმანიტარულ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები.

პირველი და მეორე სამუშაო ჯგუფების შეხვედრის დროს, დეფაქტო აფხაზეთის დელეგაციამ გამოხატა მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება 2016 წლის 7 ივნისს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიღებული (დევნილთა შესახებ) რეზოლუციის მიმართ.

დეფაქტო აფხაზეთის, დეფაქტო სამხრეთ ოსეთის და რუსეთის ფედერაციის დელეგაციებმა კონსოლიდირებული პოზიცია დააფიქსირეს და განაცხადეს, რომ „გაეროსთვის ქართული მხარის მიერ მიწოდებული ცალმხრივი და არაობიექტური რეზოლუციების მიღების პრაქტიკა მნიშვნელოვნად აფერხებს ჟენევის დისკუსიების მუშაობას“. ამის შემდეგ, დევნილთა პრობლემების განხილვის წინ, დასახელებულმა დელეგაციებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს სხდომა.

შეხვედრის დროს განსაკუთრებული ყურადღებით განიხილეს ე.წ. საზღვარზე მომხდარი ტრაგიკული ინციდენტი, რომლის შედეგად საქართველოს მოქალაქე, გიგა ოთხოზორია დაიღუპა. დეფაქტო აფხაზეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება და მოუწოდა ქართულ მხარეს თავი შეიკავოს მომხდარი ინციდენტის პოლიტიზირებისაგან.

უშიშროებისა და სტაბილურობის თემაზე, ჟენევის მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდი 4-5 ოქტომბერს გაიმართება.

---

15.06.2016 МИД РА <http://mfaapsny.org/news/index.php?ID=4382>

## **51. „აფხაზეთის მთავრობის მეთაური UNHCR-ის წარმომადგენლებს შეხვდა“**

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრემიერ მინისტრი არტურ მიქვაბია UNHCR (გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი) წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიის რეგიონში სიმონა ვოლკენს და UNHCR-ის სოხუმი-გალის ოფისის ხელმძღვანელს აზიზ რახჯოს შეხვდა.

დეფაქტო აფხაზეთის მთავრობის მეთაურთან შეხვედრაზე გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლებმა კოდორის ხეობაში დაგეგმილი ვიზიტის დეტალები განიხილეს.

„ეს არც ისეთი დიდი პროექტია, მაგრამ ამ ადგილას ჩვენი მანდატის ქვეშ მყოფი ადამიანები ცხოვრობენ, რომელთა ცხოვრების პირობები უნდა შევისწავლოთ და საჭიროების შემთხვევაში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გადავცეთ“-განაცხადა სიმონა ვოლკენმა.

აგრეთვე გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლებმა ე.წ. პრემიერ მინისტრს დონეცკიდან და ლუგანსკიდან ლტოლვილებისთვის, დეფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე, მუშაობის უფლების გაცემაში სთხოვეს დახმარება.

სიმონა ვოლკენის განმარტებით, კორუფციული მაქინაციების თავიდან ასაცილებლად, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა ფინანსური დახმარების გადაცემა ბანკის მეშვეობით გადაწყვიტა.

„გადაწყვეტილი იქნა გარანტ-ბანკის მეშვეობით თანხების ჩარიცხვა, მაგრამ ბანკში გვითხრეს, რომ ყოველი ანგარიშიდან, საბანკო მომსახურებისთვის, დაკავებულ იქნება ჩარიცხული თანხის 10%“-დაამატა სიმონა ვოლკენმა, რაზეც ე.წ. მთავრობის მეთაურმა უპასუხა რომ ყველანაირი დახმარება, ფინანსურის ჩათვლით, არ უნდა იბეგრებოდეს და „ბანკს შეუძლია დააკავოს მხოლოდ უმნიშვნელო თანხა მომსახურებისათვის“.

სამხრეთ კავკასიაში UNHCR-ის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს არტურ მიქვაბიას შეხვედრისა და დახმარებისთვის.

---

17:11 21.06.2016Апсны Пресс<http://www.apsnypress.info/news/glapravitelesabkhazii-prinyal-predstaviteley-uvkb-oon/>

## **52. „აფხაზეთის სამხედრო პროკურატურამ გიგლა ოთხოზორიას მკვლელს შინა პატიმრობა შეუფარდა“**

დეფაქტო აფხაზეთის სამხედრო პროკურატურამ რესპუბლიკის სამხედრო სასამართლოს, რაშიდ კანჯი-ოღლისთვის პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით მიმართა. ე.წ. სამხედრო სასამართლომ, შორუან სმირის თავმჯდომარეობით, შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განსასჯელს შინა პატიმრობა მიუსაჯა. რაშიდ კანჯი-ოღლის ბრალი ედება დეფაქტო აფხაზეთის სისიხლის სამართლის კოდექსის 99 მუხლის I ნაწილით (განზრახ მკვლელობა).

რაშიდ კანჯი-ოღლი, სახელმწიფო უშიშროების სამსახურში, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებულია

---

12:20 23.06.2016 Абхазия-Информ <http://abkhazinform.com/item/4016-rashid-kandzhi-ogly-budet-nakhoditsya-pod-domashnim-arestom>

### **53. „პრადის საინფორმაციო სააგენტოს Medium Orient-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები“**

2016 წლის მაისში, დეფაქტო აფხაზეთში “Medium Orient“-ის ("MEDIUM-ORIENT" Information Agency Na Okrají 44, Praha 6, Czech Republic) მიერ ჩატარებული გამოკითხვა იძლევა შესაძლებლობას გავერკვეთ, თანამედროვე აფხაზურ საზოგადოებაში არსებულ ვითარებაში.

გამოკითხვის გეგმა შემუშავებული იყო დეფაქტო აფხაზეთში 2011 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით. გამოკითხვა ჩატარდა ქალაქებსა და სოფლებში. მასში მონაწილეობდნენ დეფაქტო რესპუბლიკის ყველა ძირითადი ეთნოსის წარმომადგენლები, რომელთა ასაკი 15 და მეტი წელი იყო. გამოკითხულ იქნა 1000 რესპონდენტი.

გამოკითხვამ ცხადყო, რომ ყველაზე მეტად, მოსახლეობას, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები აღელვებს.

განსაკუთრებით კრიტიკული დამოკიდებულება, რესპონდენტებმა, გამოხატეს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ ვითარებაზე. შეკითხვაზე: „თვლით თუ არა, რომ აფხაზეთში ადამიანის უფლებები სრულად არის დაცული?“, გამოკითხულთა (45,5%) ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი პასუხი გასცა. (13,5%) უპასუხა, რომ უფლებები უფრო არ არის დაცული ვიდრე არის. აქედან გამომდინარე, მათი საერთო რიცხვი, ვინც თვლის, რომ დეფაქტო აფხაზეთში ადამიანების უფლებები არ არის ან არასათანადოდაა დაცული (59%) შეადგენს. გამოკითხულთა რაოდენობამ, ვინც თვლის, რომ ადამიანთა უფლებები დაცულია (21,9%) შეადგინა. (13,6%) უპასუხა, რომ ადამიანების უფლებები უფრო დაცულია ვიდრე არა. აქედან გამომდინარე, საერთო რაოდენობა რესპონდენტებისა, რომლებიც თვლიან, რომ დეფაქტო აფხაზეთში, ადამიანების უფლებები მეტნაკლებად დაცულია (35,5%) შეადგინა, რაც გაცილებით ნაკლებია მათი ოპონენტების რიცხვზე.

გამოკითხვა შეეხო ისეთ საკითხებს, როგორცაა-დეფაქტო აფხაზეთის მომავალი სტატუსი, რუსეთთან პარტნიორობის და მოკავშირეობის ხელშეკრულება, რუსეთის შემადგენლობაში შესვლა და ა.შ.

გამოკითხულთა (83,8%) არ გეგმავს დიდი ხნით უცხო ქვეყანაში დასახლებას. საერთო რიცხვი ადამიანებისა, რომლებიც განიხილავენ ამ საკითხს ან მყარად აქვთ გადაწყვეტილი დეფაქტო აფხაზეთის დატოვება (11,5%) შეადგინა, რაც გამომკითხველის აზრით საკმაოდ დიდ ციფრს წარმოადგენს.

**54. „*ჟენევის მოლაპარაკებების შედეგების თაობაზე ვიაჩესლავ ჩირიკბას პრეს კონფერენცია*“**

ვიაჩესლავ ჩირიკბას თქმით, შეხვედრაზე განიხილებოდა ორი ძირითადი საკითხი-გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს რეზოლუცია და დეფაქტო აფხაზეთის საზღვარზე მომხდარი ინციდენტი.

პირველ საკითხთან მიმართებაში ე.წ. მინისტრმა აღნიშნა, რომ დევნილთა დაბრუნების საკითხის განხილვისას, დეფაქტო აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და რუსეთის დელეგაციებმა დარბაზი, პროტესტის ნიშნად, დატოვეს იმ მიზეზით, რომ რეზოლუცია გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს გააქვს.

ვიაჩესლავ ჩირიკბამ მეორე საკითხთან დაკავშირებით განაცხადა „აფხაზური მხარე იმედოვნებს, რომ ა.წ. 6 ივლისს, ქ.გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შეხვედრაზე ქართული მხარე წარმოადგენს გამოძიებისთვის საინტერესო ინფორმაციული ხასიათის დოკუმენტებს და არა პროპაგანდისტულს, როგორც ეს ჟენევაში მოხდა, 4როდესაც ქართულმა მხარემ მტკიცებულებების ნაცვლად ბროშურა, დალუპულის საოჯახო ფოტოებით, წარმოადგინა.“

---

17:47 28.06.2016 [http://apsny.ru/news/?ID=23043&PAGEN\\_1=2](http://apsny.ru/news/?ID=23043&PAGEN_1=2)

**55. „*ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევა*“**

დეფაქტო აფხაზეთში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციის „ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრი“-ს წარმომადგენლის, ლიანა კვარჩელიას თქმით:- „საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიზანს, ადამიანის უფლებების დაცვის მიმართ, საზოგადოების დამოკიდებულების გამოვლენა წარმოადგენს.“

ჩატარებულ იქნა 10 სიღრმისეული ინტერვიუ. გამოკითხულთა შორის იყვნენ: ახალგაზრდობა (სტუდენტები და ახალგაზრდა სპეციალისტები), სასამართლო სისტემის და სამართლდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, დეფაქტო პარლამენტის დეპუტატები, ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები.

კვლევამ ცხადყო, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას მხოლოდ ზოგადი და ზედაპირული წარმოდგენა აქვს ისეთ ცნებაზე, როგორცაა „ადამიანის უფლებები“.

რესპონდენტთა უმრავლესობა უარყოფითად აფასებს ჯანდაცვის სისტემას. მათი თქმით, დეფაქტო აფხაზეთში, მძიმე ავადმყოფების სათანადო და თანამედროვე მკურნალობა შეუძლებელია.

მრავალმა გამოკითხულმა აღნიშნა, რომ აუცილებელია, ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი, ობუცემენის ინსტიტუტის შექმნა.

---

15:55 27.06.2016 Абхазия Информ <http://abkhazinform.com/tochka-zreniya/item/4042-ob-obshchestvennom-mnenii-v-abkhazii-v-otnoshenii-pravozashchitnykh-tsennostej-i-deyatelnosti>

### **56. „გალში 37-ე შეხვედრის შესახებ“**

6 ივლისს, ქალში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში, რიგით 37-ე შეხვედრა შედგა.

აფხაზური მხარე შეეხო 2007 წელს, გალის რაიონის საარჩევნო უბნის ხელმძღვანელის, დავით სიგუას გატაცებისა და ე.წ. თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურის, ედუარდ ემინზადეს, მკვლელობის საკითხს.

ადგილზე ვითარების განხილვისას, აფხაზურმა მხარემ გაამახვილა ყურადღება გალში აღმოჩენილ სამალავზე, რომელშიც იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებები ინახებოდა. აფხაზური მხარის თქმით, ე.წ. უშიშროების სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით, სამალავი მოწყობილი იყო საქართველოს დაზვერვით-დივერსიული ჯგუფის მიერ.

ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა, ე.წ. საზღვარზე მომხდარი ინციდენტზე (გიგლა ოთხოზორიას მკვლელობა) გამომიების მსვლელობის თაობაზე შეხვედულებები გაუზიარეს ერთმანეთს.

მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ მომდევნო 38-შეხვედრა ა.წ. 2 აგვისტოს შედგება.

09:59, 07.07. 2016 Апсны пресс <http://www.apsnypress.info/news/xxxvii-vstrecha-v-ramkakh-mpri-proshla-v-gorode-gal/>

### **57. „აფხაზეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელობა UNICEF-ის წარმომადგენლებს შეხვდა“**

დეფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობას კოორდინაციას უწევს ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო. ამ საქმიანობის ფარგლებში სოხუმში ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, კან ტანიამ, გაეროს ბავშვთა ფონდის რეგიონალური წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან, საშა გრუმანთან და UNICEF-ის სოხუმის ოფისის ხელმძღვანელთან, გოტფრიდ ჰანესთან, შეხვედრა გამართა.

შეხვედრას ესწრებოდა ე.წ. საგარეო უწყების, ევროპის, ამერიკისა და კანადის განყოფილების უფროსი, არტურ გაგულია.

მხიარეებმა განიხილეს, დეფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე, განხორციელების სტადიაში მყოფი რამოდენიმე პროექტი.

კან ტანია UNICEF-ის ხელმძღვანელობას, დეფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე, ყველანაირ დახმარებას შეპირდა.

14.07.2016 Абхазия-Информ <http://abkhazinform.com/item/4181-rukovodstvo-mid-abkhazii-zaverilo-predstavitelej-yunisef-v-podderzhke-proektov-osushchestvlyaemykh-v-strane>

### **58. „ინტერნეტ გამოცემებს იურიდიული რეგისტრაციის გავლა დაევალებათ“**

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის სესიაზე „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ“ არაღიარებული რესპუბლიკის კანონონში ცვლილებები იგეგმება.

კანონპროექტის წარდგენისას, ე.წ. სახალხო კრების დეპუტატის, ლევონ ჰალუსტიანის, სიტყვებით მოქმედი კანონი ვერ არეგულირებს ინტერნეტ გამოცემების საქმიანობას. მისი თქმით:

„მიუღებლად მიმაჩნია, რომ ბოლო დროს, ზოგიერთი ინტერნეტ გამოცემები, მიზანმიმართულად ავრცელებენ ცრუ, მაკომპრომეტირებელ მასალებს უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოღვაწეებზე და დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ჩვენ არ შეგვიძლია მათ დავაკისროთ პასუხისმგებლობა. „

კანონპროექტში შეთავაზებულია, შეტანილ იქნეს დეფაქტო აფხაზეთის „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ“ კანონში ცვლილებები, რომლებიც ინტერნეტ გამოცემებისთვის სავალდებულოს გახდის ე.წ. იუსტიციის სამინისტროს ორგანოებში მათ რეგისტრაციას.

ე.წ. პრეზიდენტის წარმომადგენელმა დეფაქტო აფხაზეთის პარლამენტში, დიმიტრი შამბამ, მხარი დაუჭირა წარდგენილ კანონპროექტს და აღნიშნა:

„მოქმედი კანონი მოძველებულია და ის ვერ პასუხობს დღევანდელი დღის გამოწვევებს“

20.07.2016 Апсныпресс <http://www.apsnypress.info/news/setevym-izdaniyam-predpishut-proyti-yuridicheskuyu-registratsiyu/>

### **59. „აფხაზეთში საერთაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობის შესახებ, კან ტანიამ «Нужная газета»-ს ჟურნალისტთან ისაუბრა“**

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, კან ტანიამ, ჟურნალისტთან საუბრისას განაცხადა, რომ დეფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე ძალიან ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია მოღვაწეობს 1992-1993 წლების ომის შემდეგ, მაგრამ დასაწყისისთვის უნდა ითქვას, რომ 2006 წელს, ე.წ. პრეზიდენტმა, სერგეი ბაღაპშიმა, არაღიარებული რესპუბლიკის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს დაავალა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინირება. კან ტანიას თქმით:

„სერგეი ბაღაპშიის ბრძანებულების თანახმად საგარეო სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების საბჭოსა (СГБ) და სხვა კომპეტენტური ორგანოებისთვის შეტყობინების გარეშე ვერცერთი პროექტი ვერ განხორციელდება.“

ე.წ. მინისტრის მოადგილემ მაგალითისთვის მოიყვანა გაეროს ბავშვთა ფონდის პროექტი-„განათლების მიღება მშობლიურ ენაზე.“ თავიდან ეს პროექტი იგეგმებოდა მხოლოდ ქართულენოვანი მოსახლეობისათვის, მაგრამ გეგმასთან გაცნობის შემდეგ, საგარეო უწყებამ, UNICEF-ს უპასუხა, რომ პროექტი არ განხორციელდება თუ ის, აფხაზეთში მცხოვრებ, ყველა ეროვნებას არ შეეხება. გაეროს ბავშვთა ფონდმა გაიზიარა

ჩვენი პოზიცია და სავსებით ლოგიკურად ჩათვალა ის. ამ ყველაფრის შედეგად პროექტი განხორციელდება, როგორც ქართულენოვანი, აგრეთვე აფხაზურენოვანი, სომხურენოვანი და რუსულენოვანი მოსახლეობისთვის.

ჟურნალისტის შეკითხვაზე თუ რამდენი საერთაშორისო ორგანიზაცია მოღვაწეობს აფხაზეთის ტერიტორიაზე, ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ უპასუხა:

„ადრე ძალიან ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობდა ჩვენთან. ზოგიერთი ომის შემდგომ პერიოდში დაიხურა, ზოგიც, რუსეთის მიერ, აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ. დღევანდელ დღეს რესპუბლიკაში ისეთი ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციები მოღვაწეობენ, როგორცაა UNISEF, UNHCR, DRC, WORLD VISION, ICRC, MSF და სხვები.“

---

20.07.2016 Ныжная газета <https://abh-n.ru/kan-taniya-esli-proekt-ne-nuzhen-nashej-strane-to-mye-ego-otklonyaem-libo-vozvrashhaem-na-dorabotku/>

## **60 „აფხაზეთისა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის დამაკავშირებელი გზის ახალი პროექტი“**

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტის, ლევარდ ბარციცის განცხადებით აფხაზმა და რუსმა მეცნიერებმა, აფხაზეთისა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის, დამაკავშირებელი სამთო გზის პროექტის რიგით მეორე გამოკვლევა ჩაატარეს.

ლევარდ ბარციცის თქმით, სოფელ აჭანდარიდან ყარაჩაი-ჩერქეზეთამდე გზის სიგრძე 40 კმ. იქნება და ზღვის დონიდან 600 მეტრზე გაივლის. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, სავარაუდოდ გზის მშენებლობას 15 წელიწადი დასჭირდება და 4 მლრდ. აშშ. დოლარი დაჯდება.

აღნიშნული პროექტით ყველაზე დაინტერესებულნი რუსეთი და ჩინეთი არიან, რადგანაც მშენებარე გზის მონაკვეთი შესაძლებელია გახდეს ტრანსაზიური და ტრანსკავკასიური მაგისტრალის შემადგენელი ნაწილი.

---

20:1928.06.2016SputnikАбхазия<http://sputnikabkhazia.ru/Abkhazia/20160628/1018884495.html>

## **61.„მიმდინარე წლის ბოლომდე აფხაზეთში 6 ახალი დიდი პროექტი დაფინანსდება“**

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. ეკონომიკის მინისტრმა, ადგურ არძინბამ, ჟურნალისტებთან შეხვედრისას მოსკოვში ვიზიტის შედეგებზე ისაუბრა.

ადგურ არძინბას ინფორმაციით გაიმართა სამუშაო შეხვედრა კონსალტინგური კომპანიის, „Strategy Partners group“-ის ხელმძღვანელობასთან, რომელიც ჩართულია ე.წ. პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკური განვითარების და რეფორმების საბჭოს მუშაობაში.

მოსკოვში მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ მიმდინარე კვირაში ჩატარდება სტრუქტურული შეხვედრა ე.წ. პრეზიდენტთან არსებული საბჭოს წევრებსა და კონსალტინგური კომპანიის ხელმძღვანელებს შორის, რომელიც მიეძღვნება ეკონომიკის განვითარების ისეთ სტრატეგიულ მიმართულებას, როგორცაა ტურიზმი. ადგურ

არძინბამ დაამატა რომ შეხვედრას მაქსიმალურად დაესწრებია ტურისტული ბიზნესის და ე.წ. კულტურის და ტურიზმის სამინისტროს წარმომადგენლები.

ე.წ. ეკონომიკის მინისტრის თქმით ეკონომიკის განვითარების კუთხით იგეგმება სამი სტრატეგიული მიმართულება და ესენია ტურიზმი, ყველაფერი რაც შეეხება ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება და თევზის მრეწველობის განვითარება.

---

13:29 2016 Апсны прещ <http://www.apsnypress.info/news/adgur-ardzinba-do-kontsa-etogo-goda-eshche-6-krupnykh-proektov-nachnut-finansirovatsya/>

## **62. „საკურორტო ზონაში მიწის ნაკვეთების გადაცემაზე აფხაზეთის მთავრობამ ნებართვები გასცა’**

14 ივლისს გამართულ სხდომაზე დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. მინისტრთა კაბინეტმა, სოფელ ანუხვაში (გუდაუთის რაიონი) ციტრუსების სახელმწიფო მეურნეობის კუთვნილი 0,20 ჰა. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი“, „დასახლებული პუნქტის მიწები“-ს კატეგორიაში გადაიყვანა. აგრეთვე, სოფელ ლიძავაში (გაგრის რაიონი) მდებარე 0,30 ჰა. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი“ „საკურორტო-გამაჯანსაღებელი დანიშნულების მიწის ნაკვეთი“-ს კატეგორიაში გადავიდა და შპს „АМО“-ს

გადაეცა საკურორტო-გამაჯანსაღებელი ობიექტის მშენებლობისთვის.

ე.წ. მინისტრთა კაბინეტმა თანხმობა მისცა ქ. გაგრის ადმინისტრაციასნ შპს „АБРЕК“-ს, ქ. ბიჭვინთაში მდებარე, 0,25 ჰა მიწის ნაკვეთზე, ტურისტული კოტეჯების მშენებლობაზე.

---

14.07.2016 Абхазия-Информ <http://abkhazinform.com/item/4183-pravitelstvo-dalo-soglasie-na-predostavlenie-zemelnykh-uchastkov>

## **63. „აგვისტოს ბოლომდე თხილის ექსპორტზე საბაჟო გადასახადის ოდენობა მცირდება’**

შესაბამისი ცვლილებები შეტანილ იქნა დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით.

დოკუმენტის წარდგენისას ე.წ. ვიცე პრემიერმა, დიმიტრი სერიკოვმა, აღნიშნა, რომ ცვლილებები შეეხება ექსპორტზე გასატან თხილს. კერძოდ:

. დაურჩეველ თხილზე-25 რუბლიდან 10 რუბლამდე.

. დარჩეულ თხილზე-35 რუბლიდან 15 რუბლამდე.

დიმიტრი სერიკოვის თქმით: „მოცემული ცვლილებები გამოწვეულია, მსოფლიო ბაზარზე თხილის ფასის ვარდნით“ და დაამატა, რომ დადგენილება ძალაში იქნება მხოლოდ 31 აგვისტომდე, რადგანაც თხილის ბაზრის ანალიტიკოსების აზრით, წელს, შარშანდელთან შედარებით, თურქეთში მოსავალი 30-40%-ით ნაკლები იქნება და შესაბამისად აგვისტოდან დადგენილ იქნება საბაჟო გადასახადის ახალი განაკვეთები.

საკითხის განხილვისას დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრემიერ მინისტრმა, არტურ მიქვაბიამ, განაცხადა, რომ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნეს გაკონტროლებული თხილის

ექსპორტი მდ.ენგურის ე.წ. საზღვარზე, რათა აღიკვეთოს, დეფაქტო აფხაზეთის ტერიტორიიდან, თხილის კონტრაბანდა. არტურ მიქვაბიას თქმით:

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგანაც, შარშან, დაგეგმილი 200 მლნ. რუბლის ნაცვლად, ქვეყნის ხაზინაში, ექსპორტზე, საბაჟო გადასახადის სახით, მხოლოდ 40 მლნ. შევიდა.“

სხდომაზე დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარის, დაურ კობახიას, განმარტებით:–„ კერძო პირს, რომელიც არ არის ჩართული საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში, აკრძალება საზღვარზე 50 კგ.-ზე მეტი ტვირთის გადატანა.“

---

14.07.2016 Апсны пресс <http://www.apsnypress.info/news/do-kontsa-avgusta-ponizheny-vyvozye-poshliny-na-orekh/>

#### **64. „2016 წელს, საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში, რუსეთის დახმარება 2,486 მლრდ. რუბლს შეადგენს“**

4 აგვისტოს დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ, ადგურ ლუშბამ, ბრიფინგი გამართა. მან ჟურნალისტებს მოახსენა, რომ ამ დღეებში, სოხუმში, სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან არსებული დსთ-ს ქვეყნებთან, დეფაქტო აფხაზეთთან და დეფაქტო სამხრეთ ოსეთთან სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე, დენის ტრავკინი. ე.წ. მინისტრთა კაბინეტში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს 2016 წლის 16 აგვისტოს, მოსკოვში, დაგეგმილი რუსეთის და დეფაქტო აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის სახელმწიფოთშორისო კომისიის შეხვედრის დეტალები.

ადგურ ლუშბას თქმით:

„აფხაზეთის რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პროგრამით დაგეგმილი 4,767 მლრდ. რუბლის ნაცვლად, 2016 წელს რუსეთის ბიუჯეტიდან 2,486 მლრდ. რუბლი გამოიყოფა. დღევანდელი დღისთვის ამ თანხიდან 1 მლრდ რუბლზე მეტი უკვე მიღებულია და ვიმედოვნებთ, რომ დარჩენილი თანხაც, მომდინარე წლის ბოლომდე იქნება ათვისებული.“

ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ ჟურნალისტებს დეფაქტო აფხაზეთისთვის, რუსეთის ბიუჯეტიდან, გამოყოფილი თანხის შემცირების მიზეზები განუმარტა:

„მიუხედავად იმისა, რომ 2015-2017 წლებში ჩასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი უკვე დამტკიცებულია, სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას, საჭიროების შემთხვევაში, ხდება მისი კორექტირება.“

სახელმწიფოთშორისო კომისიის ბოლო სხდომა 2016 წლის 29 აპრილს სოხუმში შედგა. მაშინ რუსეთის ფედერაციის მთავრობის ხელმძღვანელის მოადგილემ და კომისიის რუსული მხარის თავმჯდომარემ, ანდრეი ხლოპონინმა, განაცხადა:

„2015-2017 წლებში აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის რეალიზებისთვის დაგეგმილია რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტიდან 9,3 მლრდ. რუბლის გამოყოფა. აქედან 2015 წელს გამოყოფილ იქნა 450 მლნ. რუბლი, 2016 წლისთვის იგეგმება 4,767 მლრდ-ის და 2017 წელს 4,96 მლრდ. რუბლის გამოყოფა.“

---

04.08.2016 Абхазия-Информ <http://abkhazinform.com/item/4315-rossijskaya-pomoshch-abkhazii-v-2016-godu-v-ramkakh-investprogrammy-sostavlyayet-2-486-mlrd-rublej>

**65. „ბიჭვინთა-მიუსერას ნაკრძალში კოლხური ბზის გადარჩენისათვის მუშაობის მეორე ეტაპი იწყება“**

17-18 ივნისს დე-ფაქტო აფხაზეთის პრემიერ მინისტრი არტურ მიქვაბია და ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საველი ჭითანავა ბიჭვინთა-მიუსერას ნაკრძალში იმყოფებოდნენ.

ე.წ. პრემიერ მინისტრმა ქალაქის ადმინისტრაციის მეთაურს და სამართალდამცავებს დაავალა ნაკრძალის ტერიტორიაზე თვითნებური, უკანონო მშენებლობების ფაქტების აღკვეთა.

პარაზიტი პეპლების შემოსევამ თითქმის სრულად გაანადგურა ბზის ნარგავები, რამაც გამოიწვია ნაკრძალის ტერიტორიაზე სანატორიუმების და პანსიონატების უკანონოდ გაშენების მსურველების მოზღვავება. მსგავსი ფაქტების დაუშვებლობაზე ისაუბრა საველი ჭითანავამ, რომელმაც განმარტა, რომ ნაკრძალის დამცავი ღობის სიგრძე 16 კმ-ია და მის განახლებას 50 მლნ. რუბლი ესაჭიროება.

ე.წ. სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ბზის გადარჩენის საკითხების კომენტირებისას განაცხადა, რომ რამოდენიმე დღეში დაიწყება ნარგავების სპეციალური ხსნარით ხელმეორედ დამუშავება.

ამავე დროს ყურადსაღებია, რომ მდ. ბზიფის ხეობაში შეინიშნება „ოგნეკვას“ პარაზიტი პეპლების სიმრავლე.

---

21.06.2016 apsua.tv <http://www.apsua.tv/rus/video/7649/>

**66. „არტურ მიქვაბიამ სოფელ აძიუბუჯაში, სკურჩის ტბის ფარვატერზე მიმდინარე სამუშაოები მოინახულა“**

23 ივნისს, დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრემიერ მინისტრმა სკურჩის ტბისა და შავი ზღვის შემაერთებელ ფარვატერზე მიმდინარე სამუშაოები მოინახულა.

ფარვატერზე სამუშაოებს, ბოლო ერთი თვის განმავლობაში „სკურცა-ჰორიზონტი“ აწარმოებს, რომლის მმართველის, საიდ ამიჩბას, თქმით:

„დღევანდელი დღის მდგომარეობით შემაერთებელი ფარვატერის სიგრძე 150 მ.- სიგანე 65 მ.- სიღრმე 3 მეტრს შეადგენს. იგეგმება სიღრმის გაზრდა 6 მეტრომდე, რაც 5000 ტ-მდე წყლის ტევადობის მქონე სატვირთო ხომალდებს, ზღვიდან, სკურჩას ტბაზე შეყვანის საშუალებას მოგვცემს. ეს გაზრდის ყირიმში გადასაზიდი ინერტული მასალების (ხრეშის) მოცულობის გაზრდას.“

აგრეთვე, არტურ მიქვაბიამ დაათვალიერა, მდინარე კოდორიდან გამოყვანილ არხზე აგებული ხიდი (დაგეგმილი სამიდან ერთი აშენებული), რომელიც განკუთვნილია 100 ტ-მდე ტვირთამწეობის მანქანებისთვის, რომლებიც, კარიერიდან, გემების დასატვირთ ბაქანზე ინერტული მასალების მიწოდებისთვის იმოდრავებენ.

პროექტს და მიმდინარე სამუშაოებს სრულად „სკურჩა-ჰორიზონტი“ აფინანსებს.

---

24.06.2016 Амшейкышара <http://www.apsua.tv/rus/video/7683/>

### **67. „ქ. გაგრაში ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა იგეგმება“**

ერთობლივ რუსულ-აფხაზური კომპანია, დეფაქტო აფხაზეთში პირველ ნაგვის გადამამუშავებელ ქარხანას ააშენებს. ამის შესახებ ქ. გაგრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ზაურ ბგანბამ განაცხადა. მისი თქმით გარდა მყარი ნაგვის სორტირების და უტილიზაციისა ქარხანა აწარმოებს პოლისტიროლისგან დამზადებულ საყოფაცხოვრებო ნივთებს.

ზაურ ბგანბამ დააზუსტა, რომ სამუშაოებს აწარმოებს, სახელმწიფო დაფინანსების გარეშე, კერძო რუსულ-აფხაზური კომპანია.

დეფაქტო აფხაზეთის სახალხო კრების (პარლამენტის) დეპუტატმა, გიორგი აგრბამ , აღნიშნულ საკითხზე კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა, რომ ქ. გაგრაში მშენებარე ნაგვის გადამამუშავებელი ქარხანა საპილოტე პროექტია და წარმატების შემთხვევაში იგეგმება მსგავსი ქარხნების სოხუმსა და გუდაუთაში მშენებლობა.

---

29.06.2016 А6хаз Автоhttp://abkhaz-auto.ru/news/3/5578/

### **68. „წყლის ბიორესურსების მოპოვება ლიცენზირებას დაექვემდებარება“**

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის სესიაზე „გარკვეული სახის საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ არაღიარებული რესპუბლიკის კანონში შეტანილია ცვლილებები.

კანონპროექტის წარდგენისას ე.წ. პარლამენტის დეპუტატმა, გიორგი აგრბამ , განმარტა, რომ ლიცენზირებას დაექვემდებარებულ საქმიანობის ჩამონათვალს კიდევ ერთი პუნქტი „წყლის ბიორესურსების სამრეწველო მოპოვება“ დაემატა.

„საუბარია თევზის რეწვაზე, ზღვის პროდუქტებზე და წყალში მოზინადრე ყველა ცოცხლ ორგანიზმზე“-დაამატა გიორგი აგრბამ.

ე.წ. პარლამენტის სპიკერმა, ვალერი ბგანბამ, ცვლილების კომენტარებისას განაცხადა:

„მოცემული ნორმა დაკავშირებულია ეკოლოგიასთან და დამატებითი კონტროლი, ამ შემთხვევაში, აუცილებელია“

---

20.07.2016 Апсныпресс http://www.apsnypress.info/news/dobycha-vodnykh-bioresurov-podlezhit-litsenzirovaniyu/

### **69. „წაბლის ტყეებს აფხაზეთის ტერიტორიაზე რეალური საფრთხე ემუქრება“**

დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. მეცნიერებათა აკადემიის დირექტორის, რომან დბარის, თქმით ახალი მაგნებლის (Каштановая орехотворка) სოჭის ნაციონალური პარკის შემდეგ არაღიარებული რესპუბლიკის წაბლის ტყეებშიც გამოჩნდა.

რომან დბარმა განაცხადა;-„ჩვენ უკვე შეგვატყობინეს გაგრის სატყეო მეურნეობის სამმართველოდან, რომ ახალი მაგნებელი უკვე შეინიშნება წაბლის ხეებზე და მისმა გავრცელებამ შეიძლება მასიური ხასიათი მიიღოს.“

„Каштановая орехотворка“ აზიანებს წაბლის ხის ყვავილის კვირტს, ფოთოლს და ღეროს.

რომან დბარის თქმით: „წაბლის ხის ტყეები მთა-გორიან, მწელად მისასვლელ ადგილებში იმყოფება, რის გამოც მასთან ბრძოლის ეფექტური ქმედებები პრაქტიკულად შეუძლებელია. ქიმიური ხსნარების საშუალებით მავნებელთან ბრძოლაზე საუბარიც ზედმეტია. ერთადერთი იმედი მავნებლის მტერი პარაზიტებია, რომლებიც მას გავრცელების საშუალებას არ მიცემენ.“

---

24.07.2016AFPOXXI<http://www.agroxxi.ru/gazeta-zaschita-rastenii/novosti/pojavlenie-novogo-vreditelja-ugrozhaet-kashtanovym-lesam-abhazii.html>

## **70. „აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა შსს-ს დაავალა ვადაგასული პასპორტების შეცვლის ორგანიზაცია“**

1 ივნისს დეფაქტო აფხაზეთის რესპუბლიკის ე.წ. პრეზიდენტის პრეს-სამსახური განცხადებას ავრცელებს:

„იმის გათვალისწინებით, რომ საარჩევნო კანონმდებლობით, ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც არჩევნებში და რეფერენდუმებში მონაწილეობის მიღების უფლებას იძლევა, არის აფხაზეთის მოქალაქის შიდა პასპორტი. ამ დოკუმენტის მე-17 გვერდზე ხელს აწერს

საარჩევნო კომისიის წევრი, მოქალაქისათვის საარჩევნო ბილეთენის გაცემის შესახებ. ხელმოწერა მოწმდება სპეციალური შტამპით.

რეფერენდუმის დანიშვნისას, რაულ ხაჯიმბამ, დაავალა შსს-ს ორგანიზება გაუწიოს ვადაგასული პასპორტების შეცვლას, სახელმწიფო გადასახადის გარეშე.“

---

19:20 01. 06. 2016 АПСНЫПРЕСС

## **71. „რაულ ხაჯიმბამ გასცა განკარგულება ახალი ტიპის პასპორტების გაცემის დაჩქარების თაობაზე“**

3 ივნისს, დე-ფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა, შესაბამის უწყებებთან შეხვედრის დროს, კომპეტენტურ ორგანოებს დაავალა, ერთი კვირის განმავლობაში, მოამზადონ აფხაზეთის მოქალაქის ახალი ტიპის პასპორტების დაჩქარებულად გაცემის სრულყოფილი სქემა. ძველი პასპორტების ახლით შეცვლის სახელმწიფო პროგრამა უკვე ერთი წელია მოქმედებს, მიმდინარეობს საპასპორტო მაგიდების ახალი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა და კადრების გადამზადების პროცესი.

შეხვედრაზე დეფაქტო რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა, შამილ ადზინბამ, განაცხადა:

„დღევანდელი დღისათვის გაცემულია, აფხაზეთის მოქალაქის, 23 ერთეული პასპორტი. რის გამოა შეფერხება? მიზეზია ინსტრუქცია, უფრო სწორად მისი შეუსაბამობა მოქმედ კანონმდებლობასთან. მხოლოდ ჩვენი კომისიის ძალებით შეუძლებელია იმის დადგენა არის პირი ქვეყნის მოქალაქე თუ არა.“

რაულ ხაჯიმბა ამ არგუმენტებს არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ დეფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე არის მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა, რომელთა სტატუსიც იქნება განსაზღვრული „უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ კანონით, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა შემოწმებას არ საჭიროებს და ახალი პასპორტები მათზე უნდა გაიცეს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ამ შეხვედრაზე გაირკვა, რომ მოცემული საკითხი მოსალოდნელზე უფრო რთული აღმოჩნდა. ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბესლან ბარციცმა, განაცხადა, რომ ახალი პასპორტების გაცემის პროცესი არ არის დაკავშირებული რეფერენდუმის ჩატარებასთან და ყველა მოქალაქე, სურვილის შემთხვევაში, შეძლებს სახალხო კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებას ძველი პასპორტით. ის მოქალაქეები კი, რომელთაც ვადაგასული ან 2006 წელს გაცემული პასპორტები გააჩნიათ, შეძლებენ მათ გამოცვლას გადასახადის გარეშე.

Абхазия 24 <http://abkhazia24.org/category/politics>

## **72. „აფხაზეთში ახალი პასპორტების გაცემა 10 ივლისიდან დაიწყება“**

დეფაქტო აფხაზეთის შსს-ში გამართულ თათბირს ე.წ. პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა და ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივანი მუხამედ კილბა დაესწრნენ.

გამართულ თათბირზე ე.წ. შსს-ს მინისტრმა, ლეონიდ ძაპშამამ განაცხადა, რომ ახალი ნიმუშის პასპორტების გაცემა 10 ივლისიდან (რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ) დაიწყება. მისი თქმით, ყველა მოქალაქეს, რომელსაც რეფერენდუმში მონაწილეობის მიღება სურს, ძველი ნიმუშის პასპორტების მოქმედების ვადა გაუხანგრძლივდება.

ე.წ. შსს-ს მინისტრმა დაამატა, რომ: „ეს გადაწყვეტილება მიღებულია რეფერენდუმის ჩატარებამდე საპასპორტო მაგიდებში რიგების თავიდან ასაცილებლად“.

17:5720.06.2016SputnikАбхазия <http://sputnikabkhazia.ru/Abkhazia/20160620/1018792079.html>

## **73. „აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეობის მიღება შემოდგომიდან იქნება შესაძლებელი“**

18 ივლისს დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწის, ვლადისლავ სურკოვის, შეხვედრა შედგა.

შეხვედრაზე განხილულ იქნა 2015-2016 წლებში დეფაქტო აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინვესტირებასთან დაკავშირებული საკითხები.

შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე, რაულ ხაჯიმბამ და ვლადისლავ სურკოვმა შედეგებზე ისაუბრეს. კერძოდ ე.წ. პრეზიდენტმა განაცხადა;

„პროგრამით დაგეგმილი ღონისძიებების განსახორციელებლად უკვე თითქმის მზად არის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და იმედი გვაქვს, რომ სამუშაოების უმეტესი ნაწილი წელს იქნება შესრულებული.“

ვლადისლავ სურკოვმა აღნიშნა, რომ რუსული მხარე დაინტერესებულია საინვესტიციო პროგრამის სწრაფ განვითარებაში და დააკონრეტა, რომ ეს არ უნდა აისახოს ხარისხზე.

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწის თქმით:

„არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ რუსეთში, რთული სიტუაციაა, რიგი საბიუჯეტო პროგრამების დაფინანსება მცირდება, მაგრამ აფხაზეთის სოციალურ-

ეკონომიკური განვითარების პროგრამის ინვესტირება შეთანხმებული გეგმის შესაბამისად განხორციელდება და ამისთვის რუსეთის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 4,7 მლრდ. რუბლი“

ბრიფინგის ბოლოს რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ რუსეთის მოქალაქეობის გაცემა „აფხაზეთის მკვიდრთათვის, შემოდგომიდან განახლდება“

---

18.07.2016 Апснырер <http://www.apsnypress.info/news/v-gagre-proshla-vstrecha-prezidenta-ra-raulya-khadzhimba-s-pomoshchnikom-prezidenta-rf-vladislavom-s/>

31.08.2016 წელი